საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

შაბათი, 13 ნოემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 15 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 375 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 15 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15×2) 500 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 259 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 259

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

ღრმად დამწუხრებული მშობლები იასონ (სიმონ) და მატრონა, ძმები: გიორგი, მიხეილ, დები: დარია და ნინა, რძლები: ელენე და ეკატერინე და ძმისწული ლეონიდი აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას ძვირფასი

ალექსანდრა (საშას) სიმონის ასული ბახტაძე

რომელიც გარდაიცვალა 10 ნოემბერს დილის 7 საათზე ქალაქის სავათმყოფოში აველაბარში. გამოსვენება კვირას, 14 ნოემბერს დილის 12 ს. ქალაქის (არამიანცის) სავათმყოფოდან და დაკრძალვა იმავე დღის დიდუბის ეკლესიის გალავანში. (2—1)

გულდამწვარნი **გიორგი სიმონის ძე და ელენე პეტრეს ასული ბახტაძენი** გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 10 ნოემბერს დილის 7 საათზე უდროოთ დასჭკნა ნორჩი სიცოცხლე დაუვიწყარის და საყვარელის პირველის დის და მეორის მეგობარი მეუღლის

ალექსანდრა (საშა) სიმონის ასული ბახტაძე

გამოსვენება კვირას, 14 ნოემბერს დილის 12 ს. ქალაქის (არამიანცის) სავათმყოფოდან და დაკრძალვა იმავე დღის დიდუბის ეკლესიის გალავანში. (2—1)

ძმები ილარიონ და კოლა და მეუღლენი მათნი ლუბა და აგრაფინა მაჭარაძეები მწუხარებით აუწყებენ მეგობართ და ნაცნობებს უდროვო დროს სინათლის ჩაქრობას საყვარელი დისშვილის

საშა იასონის ასულის ბახტაძისას

გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას 14 ნოემბერს 12 საათზედ არამიანცის სავათმყოფოდან დიდუბის გალავანში. (3665—1—1)

ძმები ვლადიმერ და ლავრენტი და მეუღლენი მათნი ლუბა და ოლია სანაძეები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს უდროვო დროს გარდაცვალებას საყვარელი ბიძაშვილი

საშა იასონის ასულის ბახტაძისას

რომლის გამოსვენება მოხდება არამიანცის სავადმყოფოდან კვირას 14 ნოემბერს 12 საათზედ და დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში

გულდათუთქულნი ლიუბა მელიტონის ასული და კარპეზ მაქსიმეს ძე ჟღენტები აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს რომ 13 ამა ნოემბერს სოფელ ჩომეთის ეკლესიაში დანიშნულია წლის თავის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად დაღუპული მათი უსაყვარლესი პირველის ძმის და მეორეს ცოლის ძმის გვარდიელის

ტარიელ მელიტონის ძის ყენიას

სულის მოსახსენებლად. (3643—2—2)

სამუდამოთ გულდათუთქულნი, იმედ დაღუპულნი და ღრმად დამწუხრებულნი, მეუღლე მარიამ აბრამის ასული ხირსელისა, ალექსანდრე, ნიკოლოზი, კოსტია ივანეს ძენი და ნინო ივანეს ასული ხირსელები ამით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივ და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 8 ამა ნოემბერს საღამოს 9 საათზე, საყვარელი ძვირფასი და დაუვიწყარი მათთვის

ივანე აგატონის ძე ხირსელი

ქმარი პირველის ხოლო მამა უკანასკნელთა. ცხედრის გამოსვენება დღეს დილ. 9 საათზე, საკუთარ ბინიდან, კვირაცხოვლის ქუჩა 2, შესახვევი № 6. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა იმავე დღეს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (3644—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი დები: ნატაშა და ნინო, სიძეები აბესალომ ჟღენტე და გიორგი ბიბინეიშვილი თავიანთი შვილებით და სიძეებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი ძმისა, ცოლის ძმისა, ხოლო მესამენი ბიძისა

ტარიელ მელიტონის ძე ყენიას

ტრაგიკულად გარდაცვალების ერთი წლის თავზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, შაბათს 13 ნოემბერს სოფ. ჩომეთში წმ. გიორგის ეკლესიაში. (3649—1—1)

მწუხარებაში მყოფნი მშობლები: მამა ალექსანდრე ივანეს ძე სიხარულიძე, დედა ელისაბედი სტუროეს ასული სიხარულიძისა, ძმა გაბრიელ, და ვალია, სიძე თომა უშვერიძე თავისი შვილებით, ვენედიქტე, აკაკი, გრიგოლი, ნადია და მარუსია სიხარულიძეები, ბიძა შერმანდი, ბიცოლა ვასასი დოლიძეები. ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 14 ნოემბერს გადახდილი იქნება საორმოცო წირვა და პანაშვიდი. დაუვიწყარის გარდაცვალებულის

მარუსია ალექსანდრეს ასული სიხარულიძისა

ქ. ფოთში სამხედრო ეკლესიის სასაფლაოზე. (3653—1—1)

შაბათს 13 ნოემბერს ანჩისხატის ტაძარში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი შემდეგ ძეგლის კურთხევა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე

დავით ქრისტეფორეს ძე სულხანიშვილისა

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე ნინო დიმიტრის ასული, დედა სალომე ივანეს ასული, ძმები ალექსი და მიხეილ ქრისტეფორის ძენი, შვილები გიორგი შაქრო და სოფიო სულხანიშვილები და ცოლის და დიმიტრის ასული ჩუგუნიძისა. წირვის დასაწყისი 10 საათზე. (3656—1—1)

გულმოკლულნი: მამიდა ქრისტინე, მამიდასშვილები: ეკატერინე, (კატო) საშა ჩიგოგიძე (ქრისტინეშვილი) აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 13 ნოემბერს, ს. ჩომეთის ეკლესიაში დანიშნულია ერთი წლის წირვა და პანაშვიდი გმირულად გარდაცვალებულის

ტარიელ მელიტონის ძე ყენიას

სულის მოსახსენებლათ. (3651—1—1)

საჭიროა 2 ექიმი ზემო სვანეთისათვის

ჯამაგირი 25,000 მან. თვიურად. გზის ხარჯები ბინა გათბობით და განათებით. მსურველებმა მიმართონ ჯანმრთელობის დეპარტამენტს ქ ენიას ქუჩაზე სახ № 10 ამ თვის 18 მდე. (3661—2—1)

კვირას, 14 ნოემბერს, დილის 11 საათზედ სამეურნეო ბანკის დარბაზში (დამფუძნებელი კრების ქუჩა) დანიშნულია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ტფილისის განყოფილების წევრთა

საზოგადო კრება

ნაცვლად პირველის კრებისა, რომელიც არ შედგა 7 ნოემბერს. განსახილველი საგანია საკითხი—მოხდეს თუ არა განყოფილების ლიკვიდაცია. თუ უარყოფით გადაწყდა ეს საკითხი, მაშინ მოხდება გამგეობის და სხვა ორგანოთა წევრების არჩევნები. (3659—1—1)

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის ნებართვით

სავაჭრო ამხანაგობამ პაევზე

„ივერიამ“

განაახლა თავისი მოქმედება ქ. თფილისში. ცენტრალური მართველობა ქ. როსტოვიდან გადმოტანილია ქ. თფილისში. თანახმად დამტკიცებული წესდების § 48 გამგეობა იწვევს წევრების არაჩვეულებრივ საერთო კრებას ა. წ. 21 ნოემბერს დილის 11 საათზე გამგეობის ბინაზე სასტუმრო „კავკაზი“ თავისუფლების მოედანი. განსახილველია შემდეგი საგნები: 1. გამგეობის მოხსენება. 2. წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლა. 3. გამგეობის და საბჭოს არჩევნები. 4. სარევიზიო კომისიის არჩევნები. 5. მიმდინარე საქმეები.

(3651—1—1) სავაჭრო საპაიო ა-ბის „ივერიის გამგეობა“.

სახელმწიფო დრამის თეატრი
(ყოფილი არტისტ.—რუსთ. პრ. № 21, ტელ. 8—07)

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

შაბათს, ნოემბრის 13-ს

მსხვერპლი

ი. გედევანიშვილისა.

ახალი დეკორაციები მხატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავისა. რეჟისორი ალ. წუწუნავა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (ნ. 2—2)

„კერენ-აისოდის“

საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც დაარსებულია საქართველოს სიონისტების ცენტრალურ კომიტეტის-ორგანიზაციის მიერ, სადაც შედიან ებრაელების საზოგადოებების და დაწესებულებათა წარმომადგენლები კვირას, 14 ნოემბერს დილის 10 ნახ. საათზე იწვევს

ებრაელების საზოგადო კრებას

დიდ სინაგოგაში. დღის წესრიგშია მოხსენება და „კერენ-აისოდის“ კომიტეტის არჩევა. (3652—2—1)

მეორე ქართული კლუბი

დღეს, შაბათს

სინემატოგრაფი

კლუბის თეატრში გაიმართება ლექციები, წარმოდგენები, კონცერტები და სხვა გონივრული გასართობები. ამ მოკლე ხანში კლუბში გაიმართება

იაფ ფასიანი სასადილო.

(ნ. 1—1)

სახელმწ. თეატრი.

13 ნოემბერს

ოპერა მუშებისათვის

ტაისი

14 ნოემბერს—**კარმენი.** 15 ნოემბერს—**კოტე და ქეთო.** 16 ნოემბერს—**რიგოლეტო.** 17 ნოემბერს—**მინიონი.** დასაწყისი საღ. 8 საათ. (ნ. 1—1)

ქართული კლუბი

კვირას, 14 დეკემბერს აბჯალის მცირე წლოვან დამნაშავეთა კალონიის ფონდის გასაძლიერებლად

დღე და საღამო

ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 10-მდის.

კონცერტი: ანჯაფარიძე, ქიხარიოვა, შულგინა, წერეთელი, ალექსი-მესხიშვილი, დავიდოვი ერმოლოვი, მირტკინი, ნანობაშვილი, ნარიმანოვი, ფალიაშვილი, სევერსკი (მამა) ჭიაურელი და სხვები.

მხიარული სადილი:

სხვადასხვა სცენკები, ტრიუკები, ცირკის არტისტები, ამერიკული ლატარეები და ალეგრები. დაწვრილებით პროგრამაში. ბილეთები და მაგიდებზე ჩაწერა კლუბში. დიასახლისი ო. ა. აფელიანი. (3647—1—1)

გარეშე ძალთა განწყობილება

ჩვენი თავდაცვის საქმე დამოკიდებულია უმთავრესად ჩვენ საკუთარ შინაურ სიმაგრეზე. მაგრამ გარეშე ძალთა განწყობილებასაც, ეჭვი არ არის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეში. რა პოზიციას დაიჭერს ქემალ-ფაშასთან შესაძლებელს და იძულებითს ომში საბჭოთა რუსეთი და საბჭოთა ადერბეიჯანი? რა გზას დაადგებიან ამავე ომში ანტანტის სახელმწიფონი? აი საკითხები, რომელთა ნათლად გამორკვევა აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ჩვენთვის თავდაცვის წესიერად წაყვანისათვის.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ის კილოს შეცვლა, რომელიც დაეტყო ადგილობრივ კომუნისტურ პრესას ქემალ-ფაშისადმი. გუშინდელი უეჭველი მოკავშირე და „ამხანაგი“, რომლის ჯარებთან შეერთების მიზნის საბჭოთა რუსეთის აქტიური აგენტები ანაცვალებდენ მთელი სახელმწიფოს—სომხეთის არსებობას (გავიხსენოთ ბ. ლეგრანის ნოტა სომხეთის მთავრობისადმი), დღეს პირდაპირ გამოცხადებულია საეჭვო ძალად, რომელიც ადვილად შესაძლებელია, საბჭოთა რუსეთის მტრების იარაღად გადიქცეს. რა თქმა უნდა, კომუნისტების დღევანდელი შეხედულება ოსმალეთის ნაციონალისტების ბუნებაზე უფრო სწორეა, ვიდრე ის რომანტიზმი, რომლითაც ისინი აქამდის უყურებდენ მას. ძნელი დასაჯერებელია რომ თვით კომუნისტებსაც სჯეროდათ ქემალ-ფაშას და ენვერ ფაშის რევოლიუციური როლი. ოსმალეთის ნაციონალისტური მოძრაობა ხელსაყრელი იყო საბჭოთა რუსეთისათვის არა იმიტომ, რომ იგი იყო რევოლიუციური, არამედ იმიტომ, რომ მიუხედავათ აშკარა რეაქციონერობისა, ეს ძალა მიმართული იყო საბჭოთა რუსეთის მტრის—ანტანტის—წინააღმდეგ. დღეს, როგორც უკანასკნელი ცნობები მოწმობენ, საბჭოთა რუსეთის და ოსმალეთის ნაციონალისტების მეგობრობას ეს საძირკველიც ეცლება: ინგლის-საფრანგეთის შუამდგომლობით ხერხდება შერიგება ქემალ-ფაშას სარდლობისა და სტამბოლის მთავრობას შორის. ოსმალეთის ახალი კაბინეთი ამ ორივე ბანაკის წარმომადგენლებისაგან არის შემდგარი.

ამ ცნობაში არაფერია მოულოდნელი და დაუჯერებელი: ოსმალეთის მთელი მე-19 საუკუნის ისტორია იმისი მაუწყებელია, რომ ეს სახელმწიფო მაგარი იყო უმთავრესად ევროპის რომელიმე ძლიერი სახელმწიფოს წყალობით. ევროპის სახელმწიფოთა შორის ინტერესების წინააღმდეგობით სულდგმულობდა იგი. ინგლისი რუსეთის შიშით ცდილობდა მის დაცვას, რუსეთი კი—ინგლისის შიშით; საფრანგეთი გერმანიის წინააღმდეგ ცდილობდა მის გამოყენებას, გერმანია—საფრანგეთის წინააღმდეგ. არაფერი არ არის შეუძლებელი იმაში, რომ ოსმალეთის საქმეებმა დღესაც ასეთივე ინტერესთა წინააღმდეგობას ეძიოს თავი. საბერძნეთის ჯარების გამარჯვებამ ოსმალეთის ჯარებზე და მათმა მეტის-მეტმა წინსვლამ შეიძლება უსიამოვნო ნაყოფი გამოიღოს ანტანტის სახელმწიფოთათვის: თუ საბერძნეთმა საბოლოოდ დაამხო ოსმალეთი, იგი ძველი ბიზანტიის აღდგენას და კონსტანტინეპოლის ქალაქის მის ხელში გადაცემას მოითხოვს და ინგლისი კი ძნელად დაუთმობს ვინმე ამ „ევროპის და აზიის გასაღებს“. საფრანგეთის გავლენა სირიაში შესუსტდება საბერძნეთის მეტის-მეტი გაძლიერებით. მძლავრი საბერძნეთი საშიშროებას წარმოადგენს იტალიისათვისაც, რადგან ცნობილია, რომ ამ ორ სახელმწიფოს ბევრი სადავო კუნძულები აქვთ. მაშასადამე, არაფერია გასაოცარი და მოულოდნელი იმ გარემოებაში, რომ ანტანტამ, რომელშიაც ეს სამი სახელმწიფო მთავარ როლს თამაშობს, მოინდომა ოსმალეთის გადარჩენა და ამ მიზნით შერიგება ამ სახელმწიფოს ორი მოპირდაპირე ნახევრისა—ქემალ-ფაშისა და სტამბოლისა.

ამნაირად ქემალ-ფაშა, ეს გუშინდელი „ამხანაგი“ კომუნისტებისა, დღეს მათი მტრების ბანაკში ექცევა. ამით აიხსნება ის კილოს შეცვლა, რომელიც შეინიშნება უკანასკნელ დღეებში კომუნისტების პრესას. ამითვე არის გამოწვეული ის უთანხმოება, რომელმაც აშკარად თავი იჩინა ბაქოს კომუნისტებს შორის. აზერბეიჯანის გუშინდელი პანისლამისტები ბოლშევიკების ბაქოში მოსვლისთანავე გაკომუნისტდნენ. მათს კომუნისტობას, რა თქმა უნდა, იმდენივე ფასი აქვს, რა ფასიც ჰქონდა ქემალის „ამხანაგობას“: ისინი იმავე ზრახვებს ზრდიდენ გულში, როგორსაც ქემალ-ფაშა: ოსმალეთის გადარჩენა ანტანტის სახელმწიფოთაგან, მისი გაძლიერება, საბჭოთა რუსეთის დახმარებით, შემდეგ მის დროშის ქვეშ გაერთიანება ამიერ-კავკასიის მუსულმან-მოსახლეობისა და პანისლამიზმის იდეალის განხორციელების მოახლოვება—აი რა მიზანმა „გააწითლა“ გუშინდელი შავი მესვეურნი ადერბეიჯანისა. თანხმობა და ამხანაგობა მათ და მოსკოვის კომუნისტებს შორის მხოლოდ იმ დრომდე იყო შესაძლებელი, სანამ მოსკოვი და ანგორა (ქემალის სატახტო ქალაქი) ერთი გზით მიდიოდენ. როგორც კი ამ ორი ძალის გზები გაიყარნენ, ადერბეიჯანშიაც უნდა დაირღვეს თანხმობა შემთხვევითი გარემოებით შეკავშირებულ ძალებისა.

ამ უბუნებრივო კავშირის დარღვევა, ეჭვი არ არის, ხელსაყრელია საქართველოსთვის. თუ ქემალ-ფაშა გაბედავს საქართველოს საზღვრების ხელის შეხებას და თუ საქართველოს დასჭირდება მასთან ომის დაწყება, მას გული უფრო საგულეს ექნება, როდესაც ეცოდინება, რომ ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხრიდან მას არ უდგას აშკარა მოკავშირე ჩვენი მტრისა, ეს გააძლიერებს როგორც ჩვენი ხალხის იმედებს, ისე ჩვენი ჯარების კვეთების ძლიერებას.

ყველაფერი ფრონტისთვის

ომი ჯერ კიდევ არ გამოცხადებულა, მაგრამ ომი უკვე არის!

ეს იმიტომ, რომ ომის სიმძიმე და დამღუპველობა არა სისხლიან შეტაკებებში და ცხარე ბრძოლებშია, არამედ ომისათვის მზადებაში, შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციაში, უსაზღვრო ხარჯებში და წინასწარ პოზიციების დაკავებაში.

მე კიდევ უფრო მეტს ვიტყოდი, რომ ბრძოლები და შეიარაღებული შეტაკებები—ეს ომის პოეზიაა.—მართალია, პოეზია სასტიკი, მკაცრი და ბოროტი, მაგრამ მაინც პოეზია!

და ამიტომ მას აქვს თავისებური მშვენიერება, თავისებური აღფრთოვანება და გატაცება.

მაგრამ ყველაზე უფრო საშინელი და თავზარდამცემია ომის წარსული პროზა.

და გამარჯვებას იგემებს ის ხალხი, რომელსაც შეუძლია აიტანოს მთელი სიმძიმე ამ მომაკვდინებელ პროზისა.

და თუ გვსურს გამარჯვება, თუ ჩვენ გვსურს ვიხსნათ ჩვენი ქვეყანა გარედან თავდასხმის მთელი სისასტიკისაგან, ჩვენ ომის დაწყებათ უნდა ჩავთვალოთ არა პირველი გასროლა თოფისა, არამედ პირველი მობილიზაცია.

მთელმა ხალხმა უნდა შეიგნოს ეს: რესპუბლიკის თვითეულმა მოქალაქემ გულით, სულით და გონებით უნდა იგრძნოს ეს ჭეშმარიტება.

ჩვენში კი მობილიზაცია უკვე გამოცხადებულია, მობილიზაცია სერიოზული, დიდი!

ჩვენი მოქალაქეთა ათეული ათასები მოწვეული არიან რესპუბლიკისა და რევოლიუციის დროშის ქვეშ. და უკვე დაიძრნენ მოქალაქენი, ისინი გამოვიდნენ ქვეყნის დიდ ხაზზე, ისინი დაიცავენ თავიანთი მკერდით ჩვენს საზღვრებს!

დაგვიცავენ ყველას ჩვენ!

მაგრამ დაგვიცავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენც მზრუნველობას გამოვიჩენთ მათდამი, თუ მთელი ჩვენი ქვეყანა შეიყვარებს და თბილათ მოეკიდება მათ.

მე ეს ვიცი, მე მწამს ეს!

მე ღრმათა ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ ვერავითარი მტერი ვერ დაგვამარცხებს, თუ კი იქნება მტკიცე კავშირი ფრონტსა და ზურგს შორის მეომრებსა და მთელ ხალხს, მთელ ქვეყანას შორის!

და თუ ხალხი და მთელი რესპუბლიკა შეიგნებენ ნამდვილ და ძლევამოსილ თავდაცვის მოწყობის საჭიროებას, თუ ჩვენ გვინდა გამარჯვება ბრძოლის ველზე,—მთელმა ქვეყანამ დღესვე უნდა გაამაგროს საფუძველი ამ გამარჯვებისათვის.

ომის პროზა—აი ეს საფუძველი!

ყოველ-დღიური, საქმიანი, მოსაწყენი და არა საინტერესო სამხედრო ყოფა-ცხოვრება!

ხალხს უყვარს გამარჯვების ქუხილი, მას უყვარს დატკბობა სისხლიან შეტაკებების გამარჯვებით. მაგრამ ბევრმა არ იცის, თუ როგორის სიძნელით, როგორის ნერვებ-დაძაბული მუშაობით იქმნება ეს გამარჯვებები. თვითეული ზედ მეტი წყვილი ფეხსაცმელი, თვითეული ზედმეტი პურის ნაჭერი, თვითეული კაპეიკი, თვითეული გამოხატულება მზრუნველობისა მხედრებისადმი, ყველაფერი ეს ხელს უწყობს ბრწყინვალე გამარჯვებას.

მხოლოდ ეს საქმიანი დღეები, მხოლოდ ომის ეს სასტიკი პროზა ჰქმნის ომის პოეზიას! ეს დღეები კი ჩვენში უკვე დაიწყო! რესპუბლიკის ყველა კუთხეებიდან გამოეშურენ მის დროშისაკენ მობილიზაციით გამოწვეულნი ჯარისკაცები და სახალხო გვარდიელები. მათ დასტოვეს თავიანთი სახლები, თავიანთი დაუმუშავებელი მინდვრები, თავიანთი ოჯახები და გამოვიდნენ მშობელ ქვეყნის პირველ დაძახილზედვე. მალე ყველა ისინი პოზიციებზე იქნებიან, ბევრი კიდეც მივიდენ იქ და თავისი ხიშტებით იცავენ ჩვენს საზღვრებს!

ამ საზღვრებზე კი უკვე დიდი თოვლია!

პოზიციებზე საშინლათ სცივა!

ომის ყოველგვარი გაჭირვება უკვე თვალწინ არის!

და ჩვენ, რომელნიც აქ ვიხედვართ, უნდა გავიგოთ ეს. და ყოველივე მოქალაქემ უნდა გაიმსჭვალოს წმიდა მსხვერპლის გაღების სურვილით!

ყოველგვარი მსხვერპლი, რაგინდ მცირე იყოს ის, ამაგრებს ფრონტს, ამტკიცებს მხარის დაცვის უნარიანობას.

მთელმა მხარემ უნდა გაიღოს მსხვერპლი. მაგრამ გარდა იძულებითი მსხვერპლისა ჩვენ უნდა მივიტანოთ ხალხის დაცვის საღვთო სამსხვერპლოზე—ნებაყოფლობითი ძღვენი, თავისუფალი მსხვერპლი!

და მე მრწამს, რომ მსხვერპლის გაღების დიდი ცეცხლი მოიცავს მთელ მხარეს და გაგვანათებს თითოეულ ჩვენგანს!

ყველგან, მთელ მხარეში უნდა მოეწყოს ფრონტის დამხმარე კომიტეტები, რომელთა დაგვირგვინებაც იქნება რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტი.

და კომიტეტების ამ ათეულებმა და ასეულებმა უნდა მოაგროვონ ყოველივე ის, რაც გამოადგება ფრონტს.

ყოველივე გროში, ყოველივე წყვილი თბილი წინდებისა, პურის ნაჭერი—არის ფრონტის ნამდვილი დახმარება!

მრავალს ჩვენგანს აქვს რაიმე ზედმეტი, და ძლიერ ბევრს ჩვენგანს გაუჭირვებლათ შეუძლიათ ეს ზედმეტი მისცენ ფრონტს.

მსხვერპლი საჭიროა! რადგანაც თუ არ ვიქნებით მზათ მსხვერპლისათვის, ისე არ შეიძლება ქვეყნის გადარჩენა.

ჩვენი ქვეყნის, რომელსაც უქადის საშინელი, სასტიკი საფრთხე.

დაყოვნება შეუძლებელია!

შემდეგ გვიან იქნება, რადგანაც სა-

დღეს

მთავრობის თავმჯდომარის ბრძანების თანახმად მობილიზაციით გაწვეულებს სამსახურის გამო არავითარი შეღავათი არ მიეცემათ.

ოსმალებმა სომხეთის მთავრობას წარუდგინეს დროებითი ზავის პირობები, რომელიც სომხეთის მთავრობამ უარყო. ოსმალებმა 11 ნოემბერს სამხედრო მოქმედება განაახლეს.

აზერბეიჯანის მთავრობის შეკითხვაზე სომხეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა ბაქოში სომხეთ აზერბეიჯანის კონფერენციის მოწვევის შესახებ.

დანციგში დამოუკიდებელ სოციალ დემოკრატების უმრავლესობამ მიტინგზე უარი განაცხადა, როგორც მე-3 ე ინტერნაციონალში შესვლაზე, ისე გერმანელ დამოუკიდებლებთან შეერთებაზე.

იტალიასა და სამხრეთ სლავიას შორის ადრიატიკის საკითხში შეთანხმება მოხდა.

მოზირის რაიონში ბალახოვიჩის ჯარების შეტევის გამო ბოლშევიკებს უკან დაუხევიათ. ნოვო უშიცას მიმართულებით ბოლშევიკებს წინ წაუწევიათ. პერეკოპის რაიონში ბოლშევიკებს გაურღვევიათ იაშუნსკის პოზიციები.

ბერლინში ელექტრონის სადგურის მუშების გაფიცვა დასრულდა.

შინელი მტერი, თუ კი შემოიჭრა ჩვენს ფარგლებში, გაანადგურებს, გააპარტახებს მთელს ქვეყანას.

ის გაანადგურებს ჩვენს ხალხს!

მაგრამ ეს არ მოხდება! ჩვენ ვიცით მსხვერპლის გაღება! ჩვენ ვიცით ჩვენი თავის მსხვერპლათ გაწირვა ხალხისათვის.

და ჩვენ ვიცით, რომ დღევანდელი დღის ლოზუნგათ გახდება ლოზუნგი:

ყველაფერი ქვეყნის თავდაცვისათვის!

ყველაფერი ფრონტისათვის!

ამ ლოზუნგს ჩვენ განვახორციელებთ ცხოვრებაში...

ვალიკო ჯუღელი

გაკვრით

როგორც „საქართველო" გადმოგვცემს ბ. სპ. კედიას მეჯლისის თავმჯდომარესათვის ბათუმში შემდეგი დეპეშა გაუგზავნია: „ჩვენმა პოზიციამ გაიმარჯვა. ჩხიკვიშვილი გადადგა. დაინიშნა გიორგაძე და სხვ."

მაშ ასე. გაიმარჯვა. ნაციონალ-დემოკრატების პოზიციამ! გაიმარჯვა სოციალ დემოკრატიულ მთავრობაში! მოდი და ნუ მიულოცავ ნაციონალ-დემოკრატებს ასეთ ბრწყინვალე გამარჯვებას!

რაში ხედავს ბ. სპ. კედია თავის პოზიციის გამარჯვებას? იმაში რომ ამხ. ჩხიკვიშვილი გადადგა და დაინიშნა მეორე ჩვენი ამხ. გიორგაძე. ერთი ამხანაგის მაგიერ დაინიშნა მეორე ჩვენივე ამხანაგი. დანიშნა იმავე მთავრობამ, რომელმაც პირველი და რომლის შემადგენლობაში არც ერთი ნაციონალ-დემოკრატი არ არის. მაშ როგორ მოხდა რომ გაიმარჯვა ნაციონალ დემოკრატებმა?!

მოხდა სრულიად უბრალოთ. ჯერ კიდევ ორ ნოემბერს „თფილისის ქალაქის გამგეობამ მიიღო რა მხედველობაში: 1) ქალაქი უკიდურეს გაჭირვებას განიცდის ფინანსიურათ; 2) საზღაპრო სიძვირე და გაძლიერებული სპეკულიაცია ითხოვს დიდ ბრძოლას; 3) შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა და 4) ის გარემოება, რომ მილიციის უფროსი სულაქველიძე თფილისში არ იმყოფება, დაადგინა: ასეთ პირობებში გამგეობა შესაძლებლათ ვერ სცნობს გაანთავისუფლოს კოლეგიის წევრი და მით უმეტეს რესპუბლიკის ქალაქის მოურავი თანამდებობიდან, თუნდაც დროებით. ამიტომ აძლევს მთავრობის წინაშე სათანადო შუამდგომლობა, რათა ბ. ჩხიკვიშვილი დატოვებულ იქნას ქალაქის მოურავად, ხოლო ბათუმის საგანგებო კომისრათ დაინიშნოს სხვა".

მთავრობამ ანგარიში გაუწია ქალაქის გამგეობის დადგენილებას, დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა, გაანთავისუფლა ბ. ჩხიკვიშვილი კომისრის მოვალეობიდან და მის მაგიერ დანიშნა ამხ. გიორგაძე.

როგორც ვხედავთ აქ ნაციონალ დემოკრატები და მათი პოზიცია სრულიად არაფერ შუაშია, მარა ისინი მაინც გაიძახიან: გაიმარჯვა ჩვენმა პოზიციამო... ტრაბახი გვინახავს, მარა ასეთი?

განი.

ქართველი მუსულმანები და მისი დემოკრატია

III

მეორე მიმდინარეობას წარმომადგენელნი ამბობენ, რომ ერთი იდეის (გაქართველების) მიღებით რელიგიას (ისლამი) საფრთხე არ მოელის. ისინი ამბობენ, რომ ენათა და სარწმუნოებათა ჯგუფებს შორის კავშირი არსებობს მხოლოდ ზოგიერთ პირობებში. ეს პირობები თავის გამოხატულებას ორ არსებაში ორ ობიექტში ნახულობენ: მთავრობაში და ხალხში. მათის აზრით, როგორი ფორმისაც არ უნდა იყოს სახელმწიფოებრივი წესწყობილება, თუ მთავრობა ერთ და იმავე დროს არის ნაციონალისტური და სარწმუნოების მეთაურიც (პატრიარქი),—მაშინ სარწმუნოებრივ დაწესებულებებს ავტორიტეტი ხალხში, რასაკვირველია, დიდი იქნება: სწორეთ ამ შემთხვევაში თავს იჩენს კავშირი ენათა და სარწმუნოებათა ჯგუფებს შორის. რადგანაც საქართველოში არ არის ნაციონალისტური და სარწმუნოების მეთაურის განმახორციელებელი მთავრობა, ის არის მხოლოდ სოციალისტური და არა სარწმუნოებრივი (laigec; რადგანაც ამასთანავე ხალხი ასე თუ ისე თავისუფალია ფანატიზმისაგან, — აქ არ არის სარწმუნოებრივ ორგანიზაციების დიდი ავტორიტეტიც: ამიტომ, ამბობენ ისინი, თუ ქრისტიანული ეკლესია დაიწყებს სამაჰმადიანო საქართველოში მისიონერობას,—ამას წინააღმდეგობას გაუწევს როგორც მთავრობა, ისე ხალხი. ამიტომაც, ამბობენ ისინი, რომ საჭიროა ქართველი მუსულმანების სოციალისტურ პარტიებთან ერთად მუშაობა და რეაქციონურ პარტიებისაგან შორს დარჩენა, რითაც დაცული იქნება სარწმუნოებრივი რელიგია. მათის აზრით, საჭიროა იდეის მიღება რელიგიის დასაცავათ, საჭიროა ქართველებთან მჭიდრო კავშირი იმისთვის, რათა მუსულმანობა ნამდვილ და სწორ ნიადაგზე დადგეს, რადგანაც ეს კავშირი ჩვენში ნელ-ნელა ხდება,—ამიტომ სუსტია სარწმუნოებრივი, მუსულმანობის შეგნებაც; ხალხი იმყოფება გაუნათლებელ ხოჯებისა და მოლების და მათი ცუდ ქადაგების გავლენის ქვეშ; მეჩეთები დანგრეული და უპატრონოდ არის შენახული; მეჩეთის ქონება ჩაბარებული აქვს ისეთ მცველებს, რომლებიც მას ყურადღებას არ აქცევენ, ან კიდევ ეს ქონება თავიანთ საკუთარ საგნათ გადაუქცევიათ. ამიტომ მჭიდრო კავშირი გამოიწვევს „ქართველობისა" და „მუსულმანობას" თანასწორათ განვითარებას: ამრიგათ სარწმუნოებაშიც უნდა მოხდეს შეგნებული განვითარება ისევე, როგორც ეს უნდა მოხდეს სოციალურ და ეკონომიურ ცხოვრებაში.

ამ მიმდინარეობის შეხედულებებით ცდილობდა ესარგებლნა „სახალხო პარტიას", რომელიც ჩვენ ზემოთ დავასახელეთ. ამ შეხედულებების ძალით მიღწეული იქნება ის, რომ სარწმუნოებრივი ელემენტები—ენა, აღზრდა, ადათი, ტრადიცია შეიცვლება და ნაციონალური გახდება; დასახელებული შეხედულება დღეს ერთ-ერთ ძლიერ მიმდინარეობათაგანს წარმოადგენს ისლამურ ქვეყანაში. ჩვენ ვიცით, რომ ქრისტიანულმა ქვეყანამ დიდი ხანია გაიარა ეს სარწმუნოებრივი და ნაციონალური ევოლიუცია; ამგვარათვე ხდება დღეს ისლამურ ქვეყანაში; და როდესაც ისლამობა ნაციონალურ ფარგლებში შედის, სარწმუნოებას ნაციონალური ხასიათი ეძლევა. ამიტომ არის, რომ დღევანდელ ისლამის სამყაროში თავს იჩენს დიდი საჭიროება სარწმუნოებრივ რეფორმებისა. ქართველი მუსულმანი დემოკრატია დაინტერესებული ამ საკითხით, დიდ ყურადღებას აქცევდა სკოლისა და სწავლა-განათლების საკითხებს. ეს საქმე კი იქ არ იყო დაყენებული მკვიდრ ნიადაგზე, დემოკრატია იქვეშ და ბურუსში იყო გახვეული; ამიტომ იგი ან საფრთხეში და ან შეცდომაში ჩვარდებოდა. სკოლისა და სწავლა-განათლების საქმე არ იყო მარტო დამოუკიდებელი საკითხი, როგორც ასეთი; ხალხი ფიქრობდა და ფიქრობს, რომ სკოლის საკითხი დაკავშირებულია სარწმუნოებასთან და ამ საკითხს ამით კიდევ ერთი ახალი მნიშვნელობა ეძლევა. ზოგიერთები ფიქრობდენ, რომ აჭარა-მესხეთის ხალხს თითქოს სწავლა განათლება არ აინტერესებდეს; მაგრამ ეს მართალი არ არის; პირიქით, ხალხს დიდი სურვილი აქვს სწავლა-განათლებისა და მან იცის, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას და რა სარგებლობის მოტანა „შეუძლია მას მომავალში. ზოგიერთებს კიდევ ჰგონია, რომ ხალხს არ უნდა ნაციონალური სკოლა. მაგრამ არც ეს არის მართალი. მართალია, ეს ხალხი დღეს მოკლებულია სწავლა-განათლებას, მაგრამ ეს აიხსნება ისტორიული პირობებით. ნაციონალურ სკოლის საკითხში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა და ეს სხვადასხვაობა ისეთივეა, როგორც სარწმუნოებრივ საკითხში. მე აქ არ მინდა ვრცლათ შევეხო ამ სხვადასხვაობას. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ თუ ჩვენ გამოვარკვევთ წინააღმდეგობას, რომელიც ნაციონალურ სწავლა-განათლებისა და სარწმუნოების ელემენტებს შორის არსებობს და განვსაზღვრავთ ამ ელემენტებს,—მაშინ საკითხი ძირიანათ გადაჭრილი იქნება. ეს კი არის მეცნიერული საკითხი იმდენათვე, რამდენათაც პოლიტიკური. რომ ეს საკითხები თავის დროზე გარკვეული ჰქონებოდა დემოკრატიას, ხალხს,—მაშინ საქართველოსთან გაერთიანების საკითხიც ისე ძნელი საქმე არ იქნებოდა.

თამაზ ხიმშიაშვილი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ნოემბრის 12.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

უკრაინელ თეთრ გვარდიელთა შორის.

კამენეც პოდოლსკიდან იუწყებიან: გენერალმა პავლენკომ განაცხადა, რომ პეტლიურა უნდა დავატუსაღოთო. პავლენკომ თავისი თავი „უკრაინის სამხედრო დიქტატორად" გამოაცხადა.

გაფიცვები ესპანეთში.

ესპანეთში გაფიცვების გაძლიერების გამო განზრახულია საალყო წესების გამოცხადება.

გაფიცვა ინდოეთში.

ინდოეთში ბომბეიდან და კალკუტიდან გაფიცვა სხვა რაიონებშიაც გადადის. რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ინგლისელებს და მათ არ აძლევენ ჯარში გაწვეულთ.

მუშათა მოძრაობა ავსტრალიაში.

სასტიკი და ხანგრძლივი ბრძოლა მწარმოებელთა და მუშათა შორის მუშების გამარჯვებით სრულდება. ყველაზე უფრო კარგათ არიან დარაზმულნი მეზღვაურნი და მემაღაროენი, რომლებიც ამ უკანასკნელ დროში სამუშაო დღის შემოკლებლად იბრძვიან. მუშების პროფესიონალურ კავშირებში უმეტესობას კომუნისტები შეადგენენ.

შრომის ბეგარა ბულგარეთში.

9 ნოემ. ბულგარეთში ყველასათვის 15 წლიდან 56 წლამდე საყოველთაო შრომის ბეგარა შემოიღეს. ყველანი 5 დღის სავალდებულო შრომის ფრონტზე გაიწვიეს.

მოსკოვის სამხედრო ცნობა.

11 ნოემ. მოზირის რაიონში ბალახოვიჩის ნაწილების შეტევაზე გადმოსვლის გამო ჩვენმა ნაწილებმა მოზირ-კოროსტენის რკინის გზის ხაზზე დაიხიეს. მოზირის დასავლეთით 45 ვერსის მანძილზე ჩვენ დაგვნებდა ბალახოვიჩის ცხენოსანთა პოლკი. პირველმაც წინასწარ სრულიად ამოსწყვიტა თავისი აფიცრები. ნოვო უშიცას მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა წინ წაიწიეს. ამასთანავე ხელთ იგდეს 6 ზარბაზანი, 12 ტყვიისმფრქვეველი 100 ტყვე და სხვა ნადავლი. პერეკოპის რაიონში ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს მოპირდაპირის გამაგრებული იაშუნსკის პოზიციების პირველი ხაზი და ხელთ იგდო 600 ტყვე.

ზავის საკითხი პოლონეთის სეიმში.

პოლონეთის მთავრობამ განაცხადა სეიმში, რომ პოლონეთის მიზანი ამ ჟამად აღმოსავლეთის საზღვარზე საზავო დამოკიდებულების აღდგენა არისო. სეიმმა გამოსთქვა აზრი, რომ პოლონეთის ინტერესებია არ ჩაერიოს პოლონეთი რუსეთის სამოქალაქო ომშიო. პოლონეთის სარდლობამ განაცხადა, რომ მიღებულია ზომები აუკრძალონ პოლონელ ჯარისკაცებს იბრძოლონ ბალახოვიჩის, პერემიკინის და გენ. იაკოვლევის ნაწილებში მოხალისეების სახით.

გერმანული ცნობები

გაფიცვის დასრულება.

ბერლინში ელექტრონის სადგურის მუშების გაფიცვა დასრულდა. წეს-რიგი აღდგენილია.

გაფრთხილება.

„ფორვერტსი" აფრთხილებს ყველა უმუშევარს თავი შეიკავონ კომუნისტური პროპაგანდის და საერთო გაფიცვებისაგან, რასაც მხოლოდ ტერორის გამოწვევა შეუძლია.

დამოუკიდებელ სოც.-დემოკ. შორის

დანციგში დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატების მიტინგზე დიდმა უმრავლესობამ უარი განაცხადა, როგორც მესამე ინტერნაციონალთან, ისე გერმანელ დამოუკიდებლებთან შეთანხმებაზე.

დადგენილება საერთო გაფიცვების წინააღმდეგ.

კატოვიცაში მუშათა საბჭოებმა ერთ ხმად გამოიტანეს გადაწყვეტილება საერთო გაფიცვის წინააღმდეგ. მძიმე პირობების გამო ზემო სილეზიაში ხელფასს არბიტრაჟის საშუალებით დააწესებენ.

ლიონის ცნობები

ადრიატიკის საკითხი.

სანტ მარგერიტადან იუწყებიან: იტალიისა და სამხრეთ სლავიის დელეგატებს შორის საზღვრების შესახებ შემდეგი შეთანხმება მოხდა: ისტრიაში ორივე მხარემ მიიღოს საზღვრების ის ხაზი, რომელიც ლონდონის ხელშეკრულებაში აღნიშნულ ხაზს უდრის, შეცვლილია მხოლოდ მისი მცირე დეტალები. 2. ფიუმე ცხადდება დამოუკიდებლათ, მისი ტერიტორია ესაზღვრება იტალიის ტერიტორიას. 3. ზარა იტალიის სუვერენიტეტის ქვეშ იქნება. 4. კვარნეროში არსებული კუნძულები: გერსო ლიუსინო და უნიე. კვარნერო ადრიატიკაში არსებული კუნძული ლიგასტა იტალიას გადაეცემა. ამის შემდეგ მოხდება შეთანხმება.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

ვაჭარ მრეწველთა თათბირი

სტამბოლი. კამენსკის თავმჯდომარეობით მოხდა რუს ვაჭარ-მრეწველთა თათბირი. სრულიად რუსეთის ვაჭარ-მრეწველთა რწმუნებულმა პოპლავსკიმ განაცხადა, რომ პარიზში მყოფ რიაბუშინსკიდან მიიღო წერილი, სადაც იგი აუცილებელ საჭიროებათ აღიარებს სტამბოლში რუსეთის ვაჭარ მრეწველთა გამაერთიანებელ ცენტრის მუშაობის განახლებასო. კამათის შემდეგ დაადგინეს: სტამბოლში დაარსდეს რუს ვაჭარ-მრეწველთა თათბირი. ამავე თათბირზე აირჩიეს ბიურო, რომელშიაც შევიდნენ: კამენსკი, პოპლავსკი, პატრიკეევი, პელე და ჩერნიშევი. კანდიდატებათ: ბელიამინი, მალინინი, ტიუმენევი და ბუტკინი.

ოსმალეთის შესახებ.

ლიონი. ვინაიდან სევრის ხელშეკრულების რატიფიკაცია ოსმალეთს ჯერ კიდევ არ მოუხდენია, ამიტომ ოსმალეთისათვის შეპირებული დახმარება შემცირდა. სურთ, რომ ამ გზით იმოქმედონ ოსმალეთზე და თუ აქედანაც არაფერი გამოვიდა, მაშინ შეთანხმების სახელმწიფოები ოსმალეთს ულტიმატუმს წარუდგენენ. „პტი პარიზიენის" ცნობით ოსმალეთის მთავრობა უარს არ ამბობს ხელშეკრულების რატიფიკაციაზე; მაგრამ აზრულობს, რომ ანგორაში წინასწარ გაიგზავნოს მოკავშირეთა მისია.

ბულგარიას ლიგაში შესვლა უნდა.

ბულგარეთმა ერთა ლიგის საბჭოს შუამდგომლობით მიმართა, რომ იგი ლიგაში ჩარიცხონ.

ახალი პალესტინის მდგომარეობა.

ციურიხი. „ნეიე ციურიხერ ცაიტუნგი" ახალ პალესტინის მძიმე მდგომარეობის შესახებ იუწყება. საფრანგეთსა და ინგლისს შორის იორდანის მარცხენა ნაპირის შესახებ უთანხმოება ჩამოვარდა. ამ ოლქის ჩრდილოეთის ნაწილში უნდა შეიქნეს ბუფერი სირიის და არაბისტანის გაურანს შორის. ებრაელი კოლონისტები საერთო საშიშროების გამო ყოველგვარ სამეურნეო მოქმედებაზე უარს აცხადებენ, მით უმეტეს, რომ შესაძლებლად სთვლიან ინგლისელების მესოპოტამიიდან წასვლას.

სიძვირე უნგრეთში.

ბუდაპეშტი. ადგილობრივი პრესა იუწყება: საღამოს 6 საათიდან იხურება მაღაზიები. 8 საათზე ქუჩები ცარიელია. ცხოვრება მეტად გაძვირდა, მამაკაცის კოსტიუმი ღირს 7—11.000 კრონი. ფეხსაცმელები 2.000 კრონი.

გადასახლება კანადაში.

ვაშინგტონი. უკანასკნელ ხანში მეტად გაძლიერდა კანადაში გადასახლება. უკანასკნელ თვის განმავლობაში კანადაში 20000 კაცი გადასახლდა. მათ შორის ინგლისიდან გადასახლდა 12000 კაცი, შეერთებულ შტატებ-დან 6000 კაცი და სხვა.

ინგლისი და რუსეთი.

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის სავაჭრო სამრეწველო პალატების ასოციაციამ მთავრობას განცხადება გაუგზავნა იმის შესახებ, რომ მას არა სურს რუსეთთან ნორმალური სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენა მანამ, სანამ იგი ინგლისის ვალს არ აღიარებსო.

სიძვირე ინგლისში

„დეილი ექსპრესი" აღნიშნავს, რომ მთავრობის უკანასკნელმა ზომებმა, რომელიც ვაჭრობის თავისუფლების შეზღუდვას გულისხმობდა, უარყოფითი შედეგი მოიტანაო, ფასები მეტად გაიზარდაო. ფქვილის ფასი 63 შილინგიდან 86 შილინგამდე ავიდა. ასევე გაიზარდა სხვა საქონლის ფასიც.

ახალი ამბები.

თფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოთ აცხადებს რომ მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით მობილიზაციის დროს ყოველ გვარი შეღავათი გაუქმებულია და საკრებ პუნქტზე, (ვაგზლის ქ. № 24) უნდა გამოცხადდნენ ყველა 1890, 1891, 1892 და 1893 წლებში დაბადებულნი მიუხედავათ მათი სამოქალაქო საზოგადოებრივ და სახელმწიფო სამსახურ-თანამდებობისა. დაწესებულებანი ვალდებულნი არიან ყოველგვარი ანგარიშები დაუყონებლივ გაუსწორონ მობილიზაციით გაწვეულთ. მხოლოდ მილიციონერებმა თან უნდა იქონიონ მოწმობები მილიციის უფროსისაგან, რომ ისინი ნამდვილ სამსახურში ითვლებიან, კომისიაში წარსადგენათ.

◆ **სომხეთ აზერბეიჯანის კონფერენცია.** აზერბეიჯანის მთავრობის შეკითხვაზე სომხეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა მოიწვიონ ბაქოში სომხეთ აზერბეიჯანის კონფერენცია. სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარეთ დაინიშნა აზერბეიჯანში მყოფი დიპლომატიური წარმომადგენელი მ. არუტუნიანი, წევრათ ა. ტერტერიანი (დაშნ.) და დ. ანანუნი (ს.-დ.).

◆ **სალამი მთავრობის თავმჯდომარეს.** მთავრობის თავმჯდომარის სახელზე სოხუმიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა: სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი კრება გულწრფელ სალამს უძღვნის საქართველოს დემოკრატიის ბელადს, მოსამსახურეები მზად არიან შეკავშირებული ძალით გაუწიონ დახმარება რესპუბლიკას შინაგან აღმშენებლობის და ეკონომიურ აყვავების საქმეში.

◆ **შრომის სამინისტროში.** სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა დაადგინა გაუთანასწოროს ცალკე კოოპერატივების მოსამსახურეთა ჯამაგირები კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირის მოსამსახურეების ჯამაგირებს.

— სატარიფო პალატას შეეკითხა მუშათა მაგიდა შეუძლიათ, თუ არა კერძო საავადმყოფოების მუშებსა და მოსამსახურეებს მიეწერონ მუშათა მაგიდასო.

— მუშათა მაგიდა შეუდგა სულზე 5 გირვანქა კართოფილის დარიგებას. კართოფილის მიღება შეიძლება მუშათა მაგიდის მთავარ საწყობიდან ჩერქეზიშვილის ქუჩაზე.

◆ **წარმოდგენა გვარდიაში.** შაბათს 13 ნოემბერს „სახალხო გვარდიის სახლში კარლ კაუცკის სახელობაზე" დადგმული იქნება გრიგ. რამიშვილის პიესა „მეზობლები". წარმოდგენა იქნება უფასო საინჟ. გუნდის და სამ. ბატალიონის გვარდიელებისათვის. კვირას 14 ნოემბერს იგივე პიესა დადგმულ იქნება ფასით.

◆ **შინაგან საქ. სამინისტ. ცირკულიარი,** შინაგან საქ. სამინისტრომ შემდეგი ცირკულიარი გამოსცა: საქართველოს რესპუბლიკის ყველა მინისტრებს, გენერალურ შტაბს, სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს, ერობათა კავშირს, ქალაქთა კავშირს, ყველა სამაზრო ერობას და ქალაქის თვითმართველობებს.

თანახმად მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებისა ა. წ. 11 ნოემბრის თარიღით № 5586 სათბობ მასალის ეკონომიურად მოხმარების მიზნით, დღეიდან უნდა მოისპოს ავტომობილებით მიმოსვლა, გარდა უსაჭიროეს სახელმწიფო მისიებისა. გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ მიიღოთ სასწრაფო ზომები, განკარგულებით მიმოსვლის აუცილებლივ შეწყვეტისათვის. მინისტრის მოადგილე პ. ქიჭინაძე.

◆ **წარმოდგენა ჯარში.** დღეს მე 7-ე ქვეითა ათასეულში ჯარისკაცების და აფიცრების მიერ წარმოდგენილ იქნება ალ. ყაზბეგის 3 მოქმედებიანი დრამა „არსენა". წარმოდგენის შემდეგ ჯარისკაცები წაიკითხავენ ლექსებს, დაუკრავს სამხედრო ორკესტრი.

სხვა და სხვა ქვეყნის სახელმწიფ. წყობილება

ჩეხო-სლოვაკეთი.

ჩეხო-სლოვაკეთი ახლად წარმოშობილი **დემოკრატიული რესპუბლიკაა**, რომელმაც თავის კონსტიტუცია მიიღო 1920 წლის 29 თებერვალს სახალხო კრებაზე (დამფუძნებელი კრება).

ჩეხო-სლოვაკეთის კონსტიტუცია რიგიდული კონსტიტუციაა. არის მთავარი ტექსტი კონსტიტუციისა, გარდა ამისა არის საგანგებო კანონები, რომლებიც შეადგენენ კონსტიტუციის ნაწილს.

ხალხი წყაროა სახელმწიფური ხელის უფლების. მას ეკუთვნის ხელმწიფება. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს **ორ პალატიანი პარლამენტი—სახალხო კრება, შემდგარი სეიმისა და სენატისაგან.**

დეპუტატთა სეიმში 300 წევრია, სენატში—150. არჩევნები ორივე პალატისათვის საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციულია. ქალებს უფლება აქვთ. არჩევნები კვირა დღეს ხდება. სეიმი ირჩევა 6 წლით. შეთავსება შეუძლებელია, შემოღებულია **შვებულების სისტემა**: თანამდებობის პირს, რომელიც დეპუტატად ან სენატორად ირჩევა, ეძლევა შვებულება. პროფესორთ შვებულება ეძლევათ მხოლოდ ერთი წლით. სახალხო კრების წევრს სახელმწიფო ჯამაგირიან ადგილის მიღება შეუძლიან სახალხო კრების წევრობის თავის დანებებიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ.

ერთი წლით შეზღუდვა არ ეხება იმ დეპუტატს—სენატორთ, რომელნიც არჩევამდე სახელმწიფო სამსახურში იყვნენ. საგუბერნიო და სამაზრო ადმინისტრაციის უფროსებს არ შეუძლიათ სახალხო კრების წევრობა. სასამართლოს წევრს და საჯუჯანო (დახლოვებით საერობო) წარმომადგენლობის წევრს აგრეთვე არ შეუძლიან სახალხო კრების წევრად ყოფნა.

სახალხო კრების წევრს არ შეუძლიან მთავრობის და ადმინისტრატიულ დაწესებულებას მიმართოს ამა თუ იმ კერძო პირის კერძო ინტერესების მხარის დასაჭერად და დასაკმაყოფილებლად. დეპუტატები აღთქმას სდებენ კონსტიტუციის ერთგულებაზედ. აღთქმაზე უარის თქმა უდრის დეპუტატობის დაკარგვას.

არის დეპუტატის შეუვალობა და უპასუხისმგებლობა სიტყვისა და ხმის მიცემაში. ეს არ ეხება დეპუტატ-რედაქტორის პასუხისმგებლობას.

პალატებს იწვევს პრეზიდენტი. მას მხოლოდ ერთი თვით შეუძლია გადადვას სესია. პრეზიდენტს უფლება აქვს დაითხოვოს პალატები.

ომის გამოცხადებისა და კონსტიტუციის შეცვლისათვის საჭიროა ორივე პალატის წევრთა $^{3}/_{5}$-ის უმრავლესობა. პრეზიდენტს და მთავრობის წევრთ ბრალს სდებს სეიმი, ასამართლებს სენატი.

სამხედრო და საფინანსო კანონ-პროექტს იხილავს პირველად სეიმი. სენატის უფლებები მეტად შეზღუდულია საკანონმდებლო სფეროში. ცხადია სეიმის პრიორიტეტი.

თუ პარლამენტი (სახალხო კრება) უარყოფს მთავრობის მიერ წარმოდგენილ კანონ-პროექტს, მთავრობას შეუძლიან უარყოფილი კანონ-პროექტი პირდაპირ ხალხს გადასცეს მისაღებად და დასაკანონებლად. ეს სახალხო კენჭისყრა არ შეეხება კონსტიტუციის გადაშინჯვის კანონებს.

რესპუბლიკის პრეზიდენტს აქვს უფლება ერთი თვის განმავლობაში უკანვე დაუბრუნოს კანონი პარლამენტს. ხელმეორედ მიღების შემდეგ კანონი ქვეყნდება ასასრულებლად.

კანონს ხელს აწერენ პრეზიდენტი, მთავრობის თავმჯდომარე და ის მინისტრი, რომელსაც ენდობა მისი შესრულება კონსტიტუციის ძალით.

როდესაც პარლამენტი—სახალხო კრება გაშვებულია ან ჯერ არ შეკრებილა, მოქმედებს **განსაკუთრებული 24 წევრიანი კომიტეტი**, არჩეული სახალხო კრების მიერ (16 დეპუტატი, 8 სენატორი) ერთი წლით. ეს კომიტეტი ჰგავს მექსიკის მუდმივ დეპუტაციას. მისი კომპეტენცია ფართოა, ვრცელდება სახალხო კრების თითქმის ყველა უფლებაზე; მხოლოდ არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია **პრეზიდენტი აირჩიოს, კონსტიტუცია შესცვალოს**, ომი გამოაცხადოს, დასტური დასცეს და სხ.

განსაკუთრებული კომიტეტის დადგენილებას ეკარგება კანონის ძალა, უკეთუ სახალხო კრებამ არ მოიწონა ის ორი თვის განმავლობაში სხდომების დაწყებიდან.

პრეზიდენტს ირჩევს სახალხო კრება (3/5 უმრავლესობა) შვიდი წლით. ერთი და იმავე პირის პრეზიდენტად არჩევა მეორეჯელ შეიძლება. დღევანდელ პრეზიდენტს (მასარიკს) ეს შეზღუდვა არ შეეხება.

პრეზიდენტის უფლება-მოვალეობას შეადგენს: საგარეო ურთიერთობა, ხელშეკრულობა (პარლამენტის მოწონებით), ომის გამოცხადება პარლამენტის თანხმობით, მინისტრების დანიშვნა და გადაყენება, შეწყალება და სხ.

პრეზიდენტის მაგიერ მისი მოქმედებისათვის პასუხისმგებელია მთავრობა. მისი პასუხისგებაში მიცემა შეიძლება მხოლოდ სამშობლოს ღალატისათვის.

პრეზიდენტი ირჩევს მთავრობას და მის თავმჯდომარეს. **მთავრობა პასუხისმგებელია სეიმის წინაშე, რომელსაც შეუძლია გამოუცხადოს უნდობლობა. პარლამენტარული რეჟიმია.**

არსებობს ნაფიცთა სასამართლო. მთელი რესპუბლიკისათვის არის ერთი უმაღლესი სასამართლო.

არის აგრეთვე ცალკე **საკონსტიტუციო სასამართლო**, რომელიც მეთვალყურეობს—რამდენად შეეფერება ესა თუ ის კანონი კონსტიტუციას.

მოქალაქეთა თავისუფლება და უფლებანი უზრუნველყოფილია. ყველა სარწმუნოება თანასწორი და თავისუფალია. განსაკუთრებით არის აღნიშნული **მუშათა პროფესიული და ეკონომიური კავშირების უფლების უზრუნველყოფა.**

თვითმართველობა ისაზღვრება კანონით. მისი საასპარეზო უფლებრივად ვიწროა.

ჩეხო-სლოვაკეთის კონსტიტუციაში არ არის აღიარებული ფართო სოციალურ-ეკონომიური უფლებები, რაც მის ღირსებას ამცირებს, მაგრამ სამაგიეროდ მთელი თავია **ეროვნულ უმცირესობის შესახებ**, სადაც დაწვრილებით არის საკითხი მოწესრიგებული. არის აგრეთვე ცალკე კანონი, ნაწილი კონსტიტუციისა, ენათა უფლების შესახებ. ეროვნულ უმცირესობათა თვალსაზრისით ეს კონსტიტუცია თითით საჩვენებელია. ამ უმცირესობისათვის კონსტიტუცია არ აღიარებს საჯარო უფლებრივ ორგანიზაციას, სხვანაირათ ყოველგვარი გარანტიებია.

გარდა ამისა საყურადღებოა ჩეხო-სლოვაკიის კონსტიტუცია კიდევ მით, რომ იქ გამოხატულია მისი ავტონომიური ნაწილის—კარპატსკი რუსის განსაკუთრებული უფლებები.

ყოველ შემთხვევაში ჩეხო-სლოვაკეთის დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი ახალი კონსტიტუცია მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა სახელმწიფო და საერთაშორისო უფლების ისტორიაში. ჩეხის ერს, მკვდრეთით აღმდგარს, შეუძლიან დაიმყაროს სამართლიანი სახელმწიფოებრივი და სოციალური წყობილება, როგორც თვითონ მისი კონსტიტუცია ამბობს, და პირნათლად წარსდგეს კაცობრიობის არეოპაგის წინაშე.

დანარჩენი ქვეყნები.

გამოუკლებლივ ყველა ქვეყნის სახელმწიფური წყობილების კონსტიტუციური დახასიათება უადგილობას და, ზოგიერთ შემთხვევაში, საჭირო მასალების უქონლობის გამო, საძნელოა. ეს არც საჭიროა, რადგან თანამედროვე კონსტიტუციურ-უფლებრივი თვალსაზრისით ყოველი ქვეყანა, ყოველი სახელმწიფო არ წარმოადგენს ღირსშესანიშნავ და საყურადღებო მაგალითს ქართველი მკითხველისათვის. თავისთავად ცხადია ეს უფრო ითქმის ჩამორჩენილ სახელმწიფოებზე და უკულტურო ქვეყნებზე.

მოვიხსენიებთ დიდს ჩინეთს, სპარსეთს და ოსმალეთს. ჩინეთში რესპუბლიკაა გამოცხადებული, მაგრამ სრულ სახელმწიფოებრივ უფლებრივ წესიერებაზე იქ ლაპარაკი არ შეიძლება. სპარსეთი გუშინ აზიური კონსტიტუციური მონარქია იყო. დღეს იქ საშინელი ანარქიაა, საბჭოთა რუსეთის აგენტები აცხადებენ საბჭოთა წყობილებას და კომუნისტურ რევოლიუციას. ოსმალეთში კაი ხანია დამყარდა კონსტიტუციური მონარქიის მაგვარი წყობილება. მაგრამ იგი ომმა ფაქტიურად დაშალა. სახელმწიფური ანარქია ბატონობს. ორი მთავრობაა: ერთი ლეგალური, კონსტიტუციური, სტამბოლში, მეორე არა-კონსტიტუციური, როგორც ზოგიერთები უწოდებენ „რევოლიუციური", ნაციონალური, აზრუმში.

ქვეყნიერება დუღილშია. ბევრი სახელმწიფოს (ძველის თუ ახლის) თანამედროვე პოლიტიკური ვითარება ჩვენ დღეს კარგათ არ ვიცით. მით უფრო არ ვიცით მათი უფლებრივი, კონსტიტუციური წყობილება, რამდენადაც შეიძლება ასეთ წყობილებაზე ლაპარაკი. დღეს მრავალი სახელმწიფო იბადება, მრავალი კვდება. მრავალი ერი იბრძვის განთავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობისათვის. ავტონომია აცხადებს დამოუკიდებლობას. კოლონია სტყდება მეტროპოლიას.

ყოფილ რუსეთის იმპერიას რევოლიუციის მსვლელობაში თანდათან ჩამოშორდენ სხვადასხვა ერები, რომლებმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და საკუთარ სახელმწიფოებრიობის შენებას შეუდგენ. ასეთია **პოლონეთი, ფინლანდია, ლატვია, ესტონეთი, მთიულეთი, აზერბეიჯანი, სომხეთი.** საქართველოზე ცალკე მოგახსენებთ.

თუ არ ვცდებით, ყველა აქ ჩამოთვლილმა სახელმწიფომ, ფინეთის გამოკლებით (კონსტიტუციური მონარქია) **რესპუბლიკანური მართვა-გამგეობა** გამოაცხადა. ზოგი ბურჟუაზიული რესპუბლიკაა, ზოგიც დემოკრატიული, საქმით თუ არა, სიტყვით მაინც.

რამდენადაც ვიცით ამ ახლად დაბადებულ სახელმწიფოებს საბოლოოდ არ მიუღიათ თავიანთ პოლიტიკური წესწყობილების ძირითადი კანონი—კონსტიტუცია. ყოველ შემთხვევაში ჩვენამდე არ მოუღწევია მათ მიერ მიღებულ კონსტიტუციებს, რომ შეგვეძლოს მათი დაახლოვებით გაცნობა და მკითხველისთვის გაზიარება.

ჩამოთვლილ ქვეყნებიდან **დაჰკარგეს თავისი სახელმწიფური სახე და დაიღუპენ. მთიულეთი და აზერბეიჯანი.** დღეს ისინი ძალა უნებურათ საბჭოთა რუსეთის იმპერიის ბრძანებლობისა და ბატონობის ფარგლებში არიან მომწყვდეულნი, ამიტომ მათზე ფაქტიურად ვრცელდება რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება და საბჭოთა კონსტიტუცია.

ნ. საქარელი.

◆ **კონსტანტინოპოლში** 25 ოქტომბერს გარდაცვლილა მოქალაქე ლუკა თუმანიშვილი, რომლის მემკვიდრეებს დაწვრილებითი ცნობების მიღება შეუძლიათ საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთო განყოფილებაში.

◆ **„ეშმაკის მათრახის“** № 49 გამოვა დღეს, შემდეგი შინაარსით: ომის ამბები 1. ისტორიამ გაგვასამართლოს, 2. ვინ გვებრძვის ჩვენ, 3. ახალი ხერხი ფუტურისტებისა, 4. საგანგებო კრება, 5. თაგუნას სიტყვა—ისტორიული ისა. ცივი უდაბნო—ლექსი ძ-სი; ზარი—სლუჩაინასი, ბათუმელის ტრიოლი; მოვალეობა (დასურათებული მოთხრობა), ცეცხლი—(დასურათებული) ლექსები—შექანჯალებულისა, ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე 15 კარიკატურული სურათი.

◆ **ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობა** აუწყებს თავის წევრთ და გარეშე მკითხველ საზოგადოებასაც, რომ ავლაბრის მუშათა კლუბთან კახეთის ქ. № 1, 8 ნოემბრიდან გაიხსნა უფასო სამკითხველო, სადაც მკითხველთ საშუალება ეძლევათ ისარგებლონ უფასოთ ქართულ-სომხური და რუსული გაზეთებით, სამკითხველო ღია არის დილის 9 საათ. ნაშუადღევის 2 ს. საღ. 5—8 ს.

◆ **შენობის შეკეთებისა გამო** ზუბალაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა დაკეტილი იქნება 15 ნოემბრამდე.

კრებები.

დღეს, 5 საათზე ქალ. თვითმართველობის შენობაში დანიშნულია ს. ს.-დ. ქალთა ბიუროს და ყველა კოლექტივების შეერთებული კრება; კრებას დაესწრება ამხ. ლ. კაუცკისა, სავალდებულოა ყველა წევრების დასწრება, ამხ. სთხოვენ ნუ დაიგვიანებენ.

— კვირას, 14 ნოემბერს საღ. 6 ს. შესდგება არაჩვეულებრივი სხდომა ს. ს.-დ. ძ. პ. მესამე რაიონულ კოლექტივისა.

— კვირას, 14 ნოემბერს ნაშუადღევის 4 საათზე შესდგება ავლაბრის მუშათა კლუბის წევრთა საზოგადო კრება. განსახილველია: 1) მთელი წლის შემოსავალ-გასავალი, 2) მუშათა კლუბის იდეური მუშაობა, 3) გამგეობის ახალი არჩევნები. კრება შესდგება ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში, კახეთის ქ. № 1.

— თამარმეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიაში, კვირას 14 ნოემბერს, დილის 10 ს. დანიშნულია მშობელთა წრის საერთო კრება. დასწრება სავალდებულოა ყველა მშობლებისათვის.

ოსმალთა სომხეთზე თავდასხმის გარშემო

ანგორის მთავრობის დროებითი ზავის პირობები.

1) 24 საათის განმავლობაში გუმბრში ჩვენ უნდა გადმოგვეცეს გამოსადეგი და დაუზიანებელი ორი ათასი მსწრაფლმსროლელი თოფები, ოცი ცალი მძიმე და ორმოცი ცალი მსუბუქი ტყვიისმფრქვეველი მთელის მოწყობილობით და პირუტყვებით ერთად, სამი ბატარეა ზარბაზნები, ოთხი ათასი ყუთი თოფების მასალა, ექვსი ათასი ზარბაზნის ყუმბარა, ორი ორთქლმავალი, ორმოცდაათი ვაგონი. სომხეთის რეგულიარული და არა რეგულიარული შეიარაღებული ძალები უნდა დაწეული იქნეს უკან არპაჩაის მიმართულებით—ალაგეზის სადგური-კირმიზლი-ქოლიჯან სალბად-ვარანცოვკას ხაზის აღმოსავლეთით. ამ ხაზიდან დასავლეთისაკენ მდებარე რკინის გზა უნდა შენახულ იქნეს უვნებლათ.

2) გარდა ამისა სომხეთის რეგულიარული და არა რეგულიარული ძალები სამი დღის განმავლობაში გაწვეული უნდა იქნეს სურმალუ არაქსის სადგური—კიზილ ზიარეთ-ალაგეზის მთის კალთები-ტანაგირმაზ-ნოვომიხაილოვკა-ნურიქიანდ-შერმუტ იადვანადალის ხაზიდან აღმოსავლეთისაკენ.

3) დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ სანაინის სადგურისა და გუმბრს შორის არსებულ რკინის გზაზე დაუყონებლივ უნდა შეწყდეს ყოველგვარი სამხედრო მასალის გადატან-გადმოტანა. ამ გადატან-გადმოტანისთვის კონტროლის გასაწევად ჩვენის მხრივ ინიშნება ორი კომისია. სომხეთის მთავრობამ უნდა უზრუნველჰყოს ხსენებული კომისიების წევრთა პირადი ხელუხლებლობა და გუმბრის აღმოსავლეთ ფრონტის სარდლობასთან წესიერი მიმოსვლა.

4) დროებითი ზავის შეკვრიდან მესამე დღის საღამოს ორივე მხარეების დელეგატები უნდა იმყოფებოდნენ გუმბრში საზავო მოლაპარაკების დასაწყებათ; და თუ ამ დროზე პირველისა და მეორე მუხლის მოთხოვნილება შესრულებული იქნება, მხარეებმა ამ წუთსავე უნდა დაიწყონ საზავო მოლაპარაკება.

5) დროებითი ზავის დროს გუმბრის ოლქში მყოფი ჩვენი ჯარის ნაწილები არ უნდა გასცდნენ პირველ მუხლში აღნიშნულ არპაჩაი-ნალბანდ ვორონცოვკის ხაზს აღმოსავლეთისაკენ; აგრეთვე არ უნდა გასცილდნენ მათ მიერ დაკავებულ ადგილებს ოლქში.

6) დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ ორივე მხარეების მტრული მოქმედებანი დაუყონებლივ უნდა შესწყდეს.

7) დროებითი ზავის ეს პირობები განხორციელებული უნდა იქნეს მაშინვე, როგორც გუმბრის ოლქში მყოფ სომხურ ჯარების ავანგარდს ეცნობება ეს პირობები. დროებითი ზავის ვადა 7 დღეა. ბოლოს, თუ კი ამის საჭიროება მოითხოვს დროებითი ზავის ვადა შეიძლება გაგრძელებული იქნეს. (გაზ. „აშხატავორი“ № 249).

სომხეთის დიპლომატიური მისიის ცნობა.

საქართველოში მყოფი სომხეთის დიპლომატიური მისია იუწყება: ნოემბრის 7 სომხეთისა და ოსმალეთის ეროვნული სარდლობის შეთანხმებით შეწყდა სამხედრო მოქმედება. ნოემბრის 8 აღმოსავლეთ ფრონტის ოსმალთა ეროვნული ჯარის სარდლობა გენ. ლეიტენანტმა კიაზიმ კარაბეკირმა ჩვენს სარდლობას აცნობა, რომ მათ ანგორის მთავრობისაგან მიიღო დროებითი ზავის პირობები, რომლის მიღების შემდეგ შესაძლებელი იყო ზავზე მოლაპარაკება.

სომხეთის მთავრობამ აუწყა ოსმალთა ეროვნულ სარდლობას, რომ წარდგენილ პირობაზე მსჯელობას ადგილი ექნება მხოლოდ გუმბრში საზავო დელეგაციის შეხვედრის შემდეგ. ამაზე ანგორის მთავრობის სარდლობამ უპასუხა, რომ მისთვის არ დაუვალებიათ შესცვალონ დროებითი ზავის პირობები და რომ ამ დროებითი პირველი პირობები წარმოადგინა არა ანგორის მთავრობამ, არამედ სარდლობამ. ანგორის მთავრობის მიერ წარმოდგენილი დროებითი ზავის პირობები, სომხეთის მთავრობამ იცნო დამამცირებლად და უარყო. ნოემბრის 12 ოსმალებმა სამხედრო მოქმედება განაახლეს.

საბჭოთა რუსეთის ახალი საგანაპირო პოლიტიკა

გაზ. „ბორბა“-ში შემდეგს ვკითხულობთ:

ფრიად სარწმუნო წყაროებიდან ჩვენს თანამშრომელს შემდეგს აცნობებენ: ბაქოში ამ ჟამათ იმყოფება ჯუღაშვილი-სტალინი, საბჭოთა რუსეთის ყოფილი მინისტრი ნაციონალურ საქმეებში; ბაქოში სტალინი რამოდენიმე დღის წინათ ჩამოვიდა. ჯუღაშვილი აღჭურვილია საგანგებო რწმუნებულობით მოსკოვისაგან, ფაქტიურათ ლენინისაგან; ეს რწმუნებულება იმაში მდგომარეობს, რომ რადიკალურათ იქნეს შეცვლილი აზერბეიჯანის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. საშინაო პოლიტიკის შეცვლა ორ საერთო დებულებაში გამოიხატება: პირველი—უარყოფა საბჭოთა ეკონომიურ პოლიტიკისა მისი შაბლონიურ ფორმებით, კერძოთ, შემოღება თავისუფალ ვაჭრობისა; მეორე დებულება—„საბჭოთა ზნე-ჩვეულებების შერბილება“, მაქსიმალური შერბილება საშინაო პოლიტიკურ რეჟიმისა.

უფრო არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ დავალებებს, რომლებიც თან ჩამოიტანა ჯუღაშვილმა და რომლებიც საგარეო პოლიტიკას შეეხება. ამათ აქვთ მარტო ადგილობრივ, აზერბეიჯანული ხასიათი; ისინი წარმოადგენენ პრინციპიალურ გადახალისებას საბჭოთა საგანაპირო პოლიტიკისა. ბაქოსკენ წამოსვლის დროს ჯუღაშვილ-სტალინმა „პრავდა“-ში მოათავსა გრძელი წერილი საბჭოთა საგანაპირო პოლიტიკის მიზნების შესახებ, რომელშიაც იგი მკაცრათ აკრიტიკებს ამ პოლიტიკის აგრესიულ მეთოდებს, რასაც დღემდე ჰქონდა ალაგი; იგი აკრიტიკებს აგრეთვე იმ ურთიერთობას, რომელშიაც საბჭოთა რუსეთი არის განაპირა და მეზობელ სახელმწიფოებთან, რომლებიც ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენდნენ. წერილში ავტორი მოითხოვდა ახალ დაარსებულ სახელმწიფოთა არა მარტო ფორმალურ, არამედ ფაქტიურ აღიარებასაც, მჭიდრო ეკონომიურ დამოკიდებულებას დაჭერას მათთან, სავაჭრო ხელშეკრულებათა დადებას და ასრულებას და სხვ. განაპირა საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ ჯუღაშვილი მოითხოვდა პოლიტიკურ რეჟიმის შერბილებას, ადგილობრივ თავისებურობისადმი ფრთხილ მოპყრობას, ანგარიშის გაწევას ზნე-ჩვეულებებისადმი, ნაციონალურ მოთხოვნილებებისადმი და სხვა.

ამ განზრახვათა ნაწილის განხორციელება უკვე დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ჯუღაშვილი—სტალინმა გაატარა რამოდენიმე დღე.

ბაქოში ჯუღაშვილი—სტალინი გაატარებს ზომების მთელ რიგს, რომლების საბოლოო მიზანი იქნება—საქართველოსთან ურთიერთობის გარკვევა.

„პრავდაში“ დაბეჭდილი წერილი არის ერთგვარი პროგრამა ჯუღაშვილის მომავალ მოქმედებისა.

ბაქოს პოლიტიკურ წრეებში ჯუღაშვილი—სტალინის ჩამოსვლა და საბჭოთა განაპირა პოლიტიკის ახალი პრინციპები, რომლებიც მან უნდა გაატაროს, ცხარე კამათს და დიდ მითქმა-მოთქმას იწვევენ“.

ბათუმი

ნოემბრის 10. ბათუმის ქალაქის საბჭოს სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა რამიშვილი, ქალაქის თავმა ანჯაფარიძემ მოხსენება გააკეთა თფილისში ქალაქის საქმეებზე თავის მგზავრობის შესახებ. სასურსათო მდგომარეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა გამგეობის წევრმა ქორქაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ ქალაქს მაგარი ფასებითა და ნიხრით არ შეუძლია ცხოვრების სიძვირესთან ბრძოლა. კრიზისის შემსუბუქება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ქალაქი თვით დაამზადებს და გამოიტანს სურსათს გასასყიდათ. ქალაქმა შეიძინა კარტოფილი, ფქვილი, ხორბალი, შეშა, ხორცი და მარილი. მოქალაქეებს ურიგდებათ შაქარი, ბრინჯი, კარტოფილი, მარილი და ხორცი.

სამი დღის შემდეგ ქალაქი შეუდგება პურის გაყიდვას. პური ეღირება გირვანქა-არა უმეტეს 50 მანეთისა. სანოვაგის მოსამარაგებლად ქალაქმა სხვადასხვა პირთ 5 მილიონი მანეთი მისცა.

— პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ ნოემბრის 7, მუშათა სასახლეში მოაწყო სიმფონიური დილა, რომელსაც დაესწრო გენ. მდივანი, ვ. სულაქველიძე, ქ. თავი ანჯაფარიძე და სხ.

ქალაქთა კავშირში

ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის მორიგ სხდომაზე ე. მდივნობმა გააკეთა მოხსენება შრომის ბეგარის კანონის პროექტის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შრომის სამინისტროში ამ საკითხის განსახილველად მოწვეული იყო ორი თათბირი და ამასთანავე განზრახულია საყოველთაო შრომის ბეგარის შემოღება. მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციებმა უარყვეს პროექტი შრომის ბეგარისა. მოხსენების დაწვრილებითი განხილვის შემდეგ თათბირმა დაადგინა: ვინაიდან საყოველთაო შრომის ბეგარის შემოღება არსებულ პირობებში პრაქტიკულად განუხორციელებელია, ამიტომ შრომის ბეგარის პროექტი უარყოფილ უნდა იქნეს; რაც შეეხება არა მშრომელ ელემენტებს, მათ და მიმართ უნდა იქნეს მიღებული სათანადო ზომები, რომ ეს ელემენტებიც ჩაებან საყოველთაო შრომაშიო. (სდს)

ვაჭრობა-მრეწველობ. და ფინანსთა სამინისტროში

ფინანსთა, ვაჭრობა და მრეწველობის სამინისტროში შემოვიდა შუამდგომლობა „ფუტკრისა და სვის“ სააქციონერო საზოგადოების დამტკიცების შესახებ. საზოგადოების მომწყობნი და ხელმძღვანელები არიან ჩრდილოეთ კავკასიაში ცნობილი მეფუტკრენი ვორობიევი და დანდუროვი.

ფინანსთა სამინისტროში ა. ს. ავალიანის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი დამზღვევ საქმეების შესახებ. თათბირს დაესწრნენ საქართველოში არსებული თითქმის ყველა დამზღვევი საზოგადოების წარმომადგენელნი. განიხილეს შემდეგი საკითხები: რუსების დამზღვევ საზოგადოების ლიკვიდაციისა და მასთან დაკავშირებულ სათანადო თანხის გამოყოფის შესახებ, 2) დამზღვევ საზოგადოების სამრეწველო და სხვა გადასახადებით დაბეგვრის შესახებ, 3) სახელმწიფო დამზღვევ საზოგადოებებში მონაწილეობის მიღების შესახებ. ნაწილი ამ საკითხებისა გაირჩა ამავე სხდომაზე და ნაწილი კი შემდეგ სხდომისათვის გადაიდვა. (სდ.).

უცხოეთი

შვეიცარია

შვეიცარიის მთავრობა და რუსეთი.

ფედერალურმა საბჭომ განიხილა რა ლოზანნის თათბირის შედეგები, შემდეგი დასკვნა გამოიტანა: საბჭოთა რეჟიმი დიდხანს ვერ იარსებებს; ევროპის სახელმწიფოებმა არ ვითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღონ თავის ტერიტორიაზე რუსეთის ფსევდო კომერციული აგენტები, რადგანაც სინამდვილეში ეს აგენტები სხვადასხვა ბნელ საქმეებს სჩადიან.

მეორე მხრივ, ფედერალურმა საბჭომ, მიიღო მხედველობაში მილიერანის განცხადება იმის შესახებ, რომ ის არავითარ დაბრკოლებას არა ჰხედავს რუსეთთან სავაჭრო-სამრეწველო ოპერაციების განახლების საქმეში, მილიერანის აზრი აინტერესებდა საბჭოს კიდევ იმიტომ, რომ ის დაკავშირებულია მეორე რეჯერ გადაუწყვეტელ საკითხთან—შესახებ ამისა—დაიწყონ თუ არა მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელთან, ბრალმანთან.

შვეცია.

შვეცია და ხალხთა ლიგა.

შვეციის მთავრობა კატეგორიულად უარჰყოფს ცნობას, თითქოს შვეციას გადაწყვეტილი აქვს გამოვიდეს ერთა ლიგიდან, თუ გერმანია არ იქნა დაუყოვნებლივ დაშვებული.

როგორც ვიცით, ბრანტინგის შვეციის სოც. დემოკრატიის ბელადის მთავრობა არ ფარავდა თავის ღრმა უკმაყოფილებას ხალხთა ლიგის ებლანდელი შემადგენლობით და ხასიათით. მაგრამ ის ხედავდა თავის მიზანს იმაში, რომ შესულიყო ხალხთა ლიგაში და ეწარმოებინა ენერგიული ბრძოლა მის დემოკრატიზაციისათვის და ავტორიტეტის გასაძლიერებლათ.

ჰოლლანდია.

კაპიტალისტური მოგება და სამუშაო ხელფასი.

ნიდერლანდის ლითონზე მომუშავეების ორგანოს მოჰყავს შემდეგი სტატისტიკა: 7 ჰოლლანდიის ბანკმა აიყვანეს თავისი სათადარიგო თანხა 304 მილიონ გულდენამდის, და მიიღეს უკანასკნელ საოპერაციო წელში 28,400,000 გულდენი წმინდა მოგება. 20 სანავთო საზოგადოებას აქვთ სათადარიგო კაპიტალი 179,000,000 გულდენი, და მათი მოგება უდრიდა 44 მილიონ გულდენს. 77 წარმოებამ მიიყვანეს თავის სათადარიგო კაპიტალი 755,000,000,—გულდენამდის და მიიღეს 116,200,000 სუფთა მოგება. ეს მოგება დაახლოვებით უდრის 112,028 მუშების და მოსამსახურეების წლიურ ხელფასს, რომელთა შემოსავალი 1917 წ. 1000—1200 გულდენს წელიწადში. 77 დაწესებულების აქციონერებმა, რომლებსაც ხშირათ არავითარი წარმოდგენაც კი არა აქვთ საქმის ტექნიკურ და კომერციულ მხარის შესახებ, მიიღეს იმდენივე, რამდენიც 112,028 მუშამ გამუდმებულ შრომის შემდეგ. და აი ამ პირობებში, ჰოლლანდიის კაპიტალისტები მაღალი, სამუშაო ხელფასის წინააღმდეგ მიდიან, რადგანაც თურმე ის არის სიძვირის მიზეზი.

უნგრეთი.

საფრანგეთ-უნგრეთის საიდუმლო ხელშეკრულება.

უნგრეთის ჟურნალში „Az Embre“, რომელიც ვენაში გამოდის, სექტემბრის შუა რიცხვებში გამოქვეყნებული იყო ტექსტი ეკონომიურ და სახელმწიფო კონვენციისა, რომელიც იყო დადებული ხორტის მთავრობასა და საფრანგეთის მთავრობის შორის. თანახმათ კონვენციისა, უნგრეთის რკინის გზების ექსპლუატაცია გადაცემული აქვს 50 წლის ვადით. საფრანგეთის სინდიკატს, რომელიც შედგენილია შნეიდერისა და კრეზოს ფირმების აქციონერებისაგან, უნგრეთის მთავრობა იღებს თავის თავზე ვალდებულებას, რომ 1921 წ. 1 იანვრამდის გაადიდებს სამგზავრო ტარიფს —3-ჯერ, ხოლო საბარგო ტარიფს —8 ჯერ. თუ პარლამენტი არ განაცხადებს თანხმობას და არ დაამტკიცებს ამ ხელშეკრულებას, მაშინ ნაციონალური ყრილობა უნდა დაიშალოს, ხოლო ხელშეკრულება უნდა დამტკიცებულ იქმნას უმაღლესი მმართველობის წესით.

კონვენციის პოლიტიკური ნაწილი ნებას აძლევს უნგრეთს შეინარჩუნოს საყოველთაო სამხედრო ბეგარა და მოიწვიოს სამსახურში სამხედრო ვალდებულნი—1890—1900 წლამდის. საფრანგეთის მთავრობა ღებულობს კონტროლის უფლებას უნგრეთის შეიარაღებულ ძალებზე. საფრანგეთის მთავრობა მზათ არის აღძრას ხალხთა ლიგის წინაშე შუამდგომლობა საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ იმ ნაწილში, რომელიც ეხება უნგრეთის საზღვრებს.

ხელშეკრულების მე-3 ნაწილი შეიცავს სამხედრო კონვენციას, რომელშიაც ვენგრია გამოსთქვამს თანხმობას მობილიზაციით მოაგროვოს 150 ათასი კაცისაგან შემდგარი არმია. ამ არმიის შეიარაღებაზე იზრუნებს თვითონ საფრანგეთი. საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების დროს არმიას უხელმძღვანელებს საფრანგეთის სარდლობა.

ოცნების დედოფალს

ჩემს ვ—ს.

ოცნების კოშკში დაგაბრძანებ ჩემდა დედოფლად,
ტახტად დაგიდგამ, კერპო ჩემო, ჩემსავე გულსა;
არღა ვეძიებ სხვა სიამეს მე ამა სოფლად,
არღა ვეძიებ შენს გარეშე სხვა სიყვარულსა.

ჟამსა ძილისას ბულბულივით შემოფრენილი,
ბურანში, წასულს ნელ-ტკბილი ხმით გიგალობ ნანას;
ამოვა მთვარე ფერ-მიხდილი და მოწყენილი,
ვარსკვლავებშიაც ვერა ჰპოვებს ის შენისთანას.

შენს გაღვიძებას თან მოჰყვება ცისა თენება,
შენის ღიმილით შეაეშხებ მზეს, ცხოველმყოფელს;
ანგელოსთაც კი შეშურდებათ შენი შვენება,
შენი ხსენება შემაყვარებს უკუღმართ სოფელს.

12 ნოემბერი, 1920 წ.

ბ. ქურიშვილი.

სკოლის საკითხის გარშემო ატეხილ ხმაურობის გამო

ეს ერთი ხანია, რაც „სახალხო საქმეში“ სკოლისა და მასწავლებლების შესახებ თავსდება მთელი რიგი წერილებისა. „სახალხო საქმის“ ზოგიერთი პუბლიცისტები, სხვებს რომ კილოს უწუნებენ, სრულ თავდავიწყებამდე მიდიან ჩვენი სკოლის მესვეურების ლანძღვაში და ყოველგვარ პასუხისმგებლობის გრძნობას მოკლებულნი მზათ არიან დასცინონ ყველა, ვინც კი—მათსავით არ „ზრუნავს“ სკოლასა და მასწავლებლობისათვის. ჩვენ ვფიქრობდით, თვით „სახალხოელთა“ შორის მოინახებოდა ვინმე უფრო კეთილსინდისიერი მოქალაქე, რომელიც ამ ხალხს აგრძნობინებდა, რომ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. სამწუხაროდ, ეს არ გამართლდა და თუ ჩვენ იძულებული ვართ ვთქვათ ორიოდე სიტყვა და ეს იმიტომ კი არა, რომ ბ. ვ. კოტეტიშვილის მყვირალა ფრაზებს გავცეთ პასუხი და ან ბ. გ. მიქაბერიძის ცრუ პათეტიურ კილოთი დაწერილ მოწოდებას შევეხოთ არსებითად. ასეთი ღვარძლიანობის ნიადაგზე აღმოცენებული წერილები და მოწოდებები არ არიან პასუხის ღირსნი. ისინი ჩვენი განახლებული სახელმწიფოებრიობის ისტორიის იმ ფურცლებზე აღიბეჭდებიან, სადაც პირუთვნელი ისტორიკოსის ხელით ჩაიწერება ჩვენი სახელმწიფოებრიობის დამრღვევი ფაქტები.

ჩვენ გვსურს გაკვრით აღვნიშნოთ ის, თუ უმთავრესად რა ნიადაგზე არის აღმოცენებული ის განსაკუთრებული უკმაყოფილება, რომელიც უეჭველია, არსებობს მასწავლებლობის ნაწილში და რომლის გაღვივებასაც ასე თავგამოდებით უწყობენ ხელს ზოგიერთი „პუბლიცისტები“. მე მგონია, უკვე მოსაწყენად უნდა ჩაითვალოს იმ ჭეშმარიტების ათასჯერ გამეორება, რომ მასწავლებელს უდიდესი მოვალეობა აქვს დაკისრებული, რომ ის არის ჩვენი მომავლის აღმზრდელი და მომზადებელი, მწარე და გულდამთუთქველი სინამდვილეა ისიც, რომ მასწავლებელი დღეს უკიდურეს გაჭირვებას განიცდის. ამ საერთო არევ-დარევის დროს სკოლა ვერ შერჩა იმ სიმაღლეს, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს მას სახელმწიფოს ცხოვრებაში.

ყველაფერი ეს მწარე სინამდვილეა, მაგრამ ხომ არ შეიძლება მოვლენების დროისა და სივრცის გარეშე შეფასება? ჩვენ ხომ დედამიწაზე ვცხოვრობთ და თუ ჩვენი სიტყვები საქმისადმი სიყვარულით არის გამოწვეული, როგორც ამაზე სკოლის ზოგიერთი გულშემატკივარნი ყვირიან, ხომ საჭიროა ფაქტის აღნიშვნასთან ერთად მისი გამომწვევი მიზეზებიც მოვიხსენიოთ. სამართლიანად აღნიშნავენ მასწავლებლის გაჭირვებას, რომ საარსებო პურის ძიებაში ჩაფლულს მას არა აქვს საშუალება თავისი ცხოვრება ისე მოაწყოს, როგორც ეს შეეფერება მასწავლებელს და სკოლის ინტერესებს. ეს, უეჭველია, გულშემატკივრობაა მასწავლებლობისა და სკოლისადმი, მაგრამ გულშემატკივრობა იმგვარივე ხასიათისა, როგორსაც იჩენდნენ ლეგენდარული ბიზანტიის ბერები, როდესაც ისინი, მონასტერში თავმოყრილნი, გამწარებულ დავას აწარმოებდნენ ქრისტიანობის დოგმების დარღვევის შესახებ სწორედ მაშინ, როდესაც ოსმალები ბიზანტიის მაგარ კედლებს გარს შემორტყმოდნენ და მთელ ქრისტიანულ კულტურას განადგურებით ემუქრებოდნენ. აი ასეთ დავას აწარმოებენ ჩვენი სკოლის ზოგი-ერთი ბერები და ისტერიულ ხმით ყვირიან სკოლის მოუწყობლობაზე მაშინ, როდესაც ათასგვარი საფრთხე საშინელ აჩრდილივით თავს დასტრიალებს სახელმწიფოს და ერის ენერგიის 90% ამ საფრთხის აცილებისათვის იხარჯება. ჩვენი მდგომარეობა ხომ ერთი მომენტია იმ ტიტანიური ბრძოლისა, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით სწარმოებს და რომლის სიმწვავეც განსაკუთრებით ჩვენისთანა პატარა სახელმწიფოებს ეტყობა, თავს. ნუ თუ საზოგადოებრივ კითხვაზე მოსაუბრე ადამიანმა ეს გარემოება უნდა დაივიწყოს თუ გინდ ერთი წუთით? მაგრამ, მე მგონია, ეს ჩვენ „პუბლიცისტებს“ არ ავიწყდებათ და ისინი არც ისეთი გულუბრყვილონი არიან, როგორც ზემოთ მოხსენებული ბერები. მათი ცდა სულ სხვა მხრივ არის მიმართული. მათ სურთ მასწავლებლობაში პოპულიარობის მოპოება. სხვაგან ყველგან ფეხი აუცდათ და ფეხის მომაგრებას მასწავლებლობაში ლა სცდილობენ. ამისთვის კი საუკეთესო საშუალებათ მასწავლებლის გაჭირვებული მდგომარეობა გამოუყენებიათ. მათ უნდათ დაამტკიცონ, რომ ჩვენი ხალხის მთავრობა სრულიად გულგრილია სკოლისადმი და ამით შეგვაჩვიონ იმ აზრს, რომ „არავინ არაა სკოლის ბედით დაინტერესებული ისე, როგორც მასწავლებლობა“. როგორ? მთელი ხალხი, მისი სახელმწიფოებრივი ინტერესების უზენაესი დამცველი დამფუძნებელი კრება და მთავრობა არაა დაინტერესებული სკოლით ისე, როგორც მასწავლებლობა?

არა, ბატონებო, ჩვენ ასე არა გვგონია და მართლა ასე რომ იყოს, ამ კასტიურ დაწესებულებაში შეგნებული მასწავლებელი ერთ დღესაც არ დარჩებოდა. კაცს განზრახ დახუჭული უნდა ჰქონდეს თვალები, რომ ვერ ხედავდეს იმ მუშაობას, რომელიც სწარმოებს სკოლის მოწყობის საკითხის გარშემო. საყოველთაო სწავლის შემოსაღებლად სკოლების გახსნა, სასწავლო კომიტეტის მოქმედება, სკოლის გარეშე განათლების საქმის მოწყობა, თეატრისა და საზოგადოდ ხელოვნების აყვავებისაკენ მიმართული მუშაობა განა გულგრილობას ნიშნავს სწავლა განათლებისადმი? განა 100%-იან მომატების გატარება მაშინ, როდესაც სხვა დარგის მუშა-მოსამსახურეებზე გავრცელდა 60%, არ გვიჩვენებს მთავრობის დამოკიდებულებას სკოლისადმი, ან 10 მილიონის გადადება მასწავლებელთა კოოპერატივის მოსაწყობად „დედინაცვლის თითის დაქნევათ და აჩრდილობათ“ უნდა ჩავთვალოთ?

მასწავლებლობას უნახავს გაჭირვება, ის ახლაც უკიდურესად გაჭირვებულია, მაგრამ ეს მდგომარეობა მას აბსურდამდე მაინც ვერ მიიყვანს. მასწავლებლობა იბრძვის თავისი მდგომარეობის და სკოლის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამ ბრძოლაში საქმიანობის ნიადაგს არ ასცდება, არ სტყუის და მით უმეტეს არ ჩაიდენს იმას, რასაც დემოკრატიული სინიდისი არ აპატიებს.

როდესაც სახალხო განათლების მინისტრის შესახებ ათასგვარ ყალბ ცნობებით სავსე წერილებს ათავსებდით გაზეთებში, ნეტავი ფიქრობდით იმაზე, თუ რა მდგომარეობას ქმნიდით ამით პროვინციის მასწავლებლობაში, რა აპათიას ქმნიდით მასში საქმისადმი, ფიქრობდით თუ რა ლახვარს სცემდით ისეც დაავადმყოფებულ სკოლას? არა, თქვენისთანა ექიმის ტლანქი ხელი დაავადმყოფებულ სკოლას ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს, ის მხოლოდ დაღუპავს მას. მეტი წინდახედულება, მეტი კეთილსინდისიერება მოითხოვება სკოლისათვის თავდადებულ მოღვაწეთ.

გ—ლი.

სიმართლის აღსადგენად

მასწავლებელთა მეორე კონფერენციაზე, რომელიც შესდგა 24 ოქტომბერს 1920 წ, განათლების მინისტრმა ბ. ნ. რამიშვილმა გააკეთა ვრცელი მოხსენება. ვინაიდგან ამ მოხსენებიდან ამოღებული ცალ-ცალკე ფრაზებით ისარგებლეს „სახალხო გაზეთის“ თანამშრომლებმა და იგი გადამახინჯებული სახით მიაწოდეს საზოგადოებას, ამიტომ ყრილობის პრეზიდიუმი თავის ზნეობრივ მოვალეობათ სთვლის სიმართლის აღსადგენად გამოაქვეყნოს ყრილობის ოქმში შეტანილი მინისტრის სიტყვა: „მინისტრის აზრით არავისთვის დავა არ იწვევს, რომ მასწავლებელნი მეტად უმწეო მდგომარეობაში არიან. მაგრამ სახელმწიფოს რომელ დარგში არიან მოხელენი უკეთეს მდგომარეობაში? მინისტრები იღებენ თვეში 15,000 მანეთს. ჩვენს რესპუბლიკაში უმაღლესი ჯამაგირი არის 20,000 მანეთი, მართალია, ეს არავის დააკმაყოფილებს, ყველანი გაჭირვებას განვიცდით, მაგრამ ამ უსამართლობის გასწორება არ არის ერთი და ორი დღის საქმე. ჩვენი ქვეყანა მძიმე ეკონომიურ კრიზისს განიცდის. მაგრამ რომელი სახელმწიფო არ განიცდის ახლა კრიზისს? მინისტრი ადარებს ერთმანეთს ჩვენი ქვეყნისა და სხვა ქვეყნის მდგომარეობას და ამბობს, რომ ეკონომიური კრიზისი არ არის მარტო ჩვენი ქვეყნის ავადმყოფობა, რომ მთელი ევროპა უმძიმეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი. რაც შეეხება რუსეთსა და ავსტრიას, ჩვენი ქვეყანა მათთან შედარებით სამოთხეს წარმოადგენს. საჭიროა არა ნაკლებ 10 წლისა, რომ თანამედროვე ცხოვრებას ოდნავი ცვლილებები დაეტყოს გაუმჯობესების მხრით. თუ ძველი რეჟიმის დროს ჩვენ არ ვიშურებდით არავითარ მსხვერპლს უსამართლობასთან ბრძოლაში, ეხლა უფრო მეტი მსხვერპლია საჭირო, რომ რევოლუციის მონაპოვარი შევინარჩუნოთ. ამას ყველა მოქალაქე უნდა შეურიგდეს და ანგარიში გაუწიოს. დღეს ყველამ შეიტყო, რომ ბონებით ჯამაგირების გადიდება უფრო აუარესებს მშრომელთა მდგომარეობას, ამიტომ მოითხოვენ ნატურით დაკმაყოფილებას. ჩვენ განზრახვა გვაქვს უცხოეთიდან შემოვიტანოთ პური და ამით ადგილობრივ პურის ფასებზე გავლენა მოვახდინოთ. აგრეთვე განზრახულია იანვრიდან გავადიდოთ პურის ულუფა დღეში ნახევარი გირვანქით. ის, რაც ყველასათვის იქნება, იქნება მასწავლებელთათვისაც. მასწავლებელთ აქვთ თავისუფალი დრო მეურნეობისათვის, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ სოფლად მასწავლებელთ მივსცეთ საფონდო მიწებიდან მიწის ნაჭრები, რომელსაც ისინი დაიმუშავებენ მოწაფეთა დახმარებით. ამას გარდა მე განზრახული მაქვს დავითანხმო მთავრობა, რომ მასწავლებელთ მიეცეს 2 მილიონი მანეთი დაუბრუნებლად კოოპერატივის დასაარსებლად. ვეცდები, რომ კიდევ რამოდენიმე მილიონი სესხათ მიეცეს ამ კოოპერატივს, თუმცა ამას დაბეჯითებით ვერ დავპირდებით. მე არ მიყვარს ისეთი დაპირებათა გაცემა, რომლის შესრულებას ვერ შევსძლებ, რომ ამით არ შეიქმნეს ილიუზიები და შემდეგ სასოწარკვეთილება. ხოლო რასაც დაგპირდებით, იმას კიდევაც შევასრულებ. გიმნაზიებში სწავლის ფულს გავადიდებ, ხოლო უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებში განზრახვა მაქვს ის მოვსპო ორი წლის განმავლობაში. სამაზრო ერობებს დავავალებთ შექმნან მასწავლებელთათვის სასურსათო ფონდი და მიაწოდონ მათ სურსათი დაკლებულ ფასებში.

მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ მთავრობას არ შეუძლია მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის საკითხის გამოყოფა სხვა მოსამსახურეთა მდგომარეობის საკითხისაგან; მასწავლებელთათვის პრივილეგიებს ვერ შევქმნით, თუმცა კარგად გვესმის მასწავლებლის მოღვაწეობის დიდი მნიშვნელობა. ჩვენ ვერ მოვითმენთ, რომ უფროსებს ამხანაგები ნიშნავდნენ, ყოველთვის წინააღმდეგობას გავუწევთ ასეთ ცდას. გაფიცვის გამოცხადება ვერავის დააშინებს და ეს სახიფათო იქნება თვით მასწავლებელთათვის. იგი არც არის საჭირო, ვინაიდან მე თვითონ ვზრუნავ მასწავლებელთა შესახებ შესაძლებლობის ფარგლებში. მე ჩემი დაპირებებიდან სრულიად არ მოველი რამე სასწაულს: საჭიროა მოთმინება და მე მრწამს, რომ კარგ მომავალსაც მოვესწრებით. რაც შეეხება გაკვეთილების სავალდებულო ნორმას, მთავრობამ უკვე გამოიმუშავა ის და ცირკულიარის სახით დაუგზავნა სასწავლებლებს. ძირითად გაკვეთილების ნორმად მიჩნეულია 18 გაკვეთილი, კლასის დამრიგებლობა და ხუთწლეულები. ამას ზევით ითვლება ზედმეტ გაკვეთილებათ და მათზედ ცალკე გავრცელდება დამატებანი.“

ვინც კონფერენციას დაესწრო და მოისმინა განათლების მინისტრის მოხსენება, იმისთვის ცხადია, რომ მას მოხსენებაში არ გაუტარებია ის ხაზი და მიმართულება, რომელიც მას მიაწერეს „სახალხო საქმის“ თანამშრომლებმა. მაგრამ, ვინც კონფერენციას არ დასწრებია, ისინიც ამ მოკლედ ოქმში შეტანილ მინისტრის სიტყვებიდან ნათლად დაინახავენ რომ „სახალხო საქმეში“ მოთავსებული წერილები სიმართლეს მოკლებულია და ტენდენციური.

მეორე მასწავლებელთა კონფერენციის თავმჯდომარე **გ. გიორგობიანი.**

ტარიელ მელ. უენია

ერთი წელიწადი გავიდა, რაც ამხ. ტარიელი, ჩოხატაურში მომხდარ ბოლშევიკურ ამბოხების დროს, იმსხვერპლა, მუხანათ მტრის ტყვიამ. ახალგაზრდა მაგრამ მხნე, გულადი და დაკვირვებული ტარიელი თვალსაჩინო როლს თამაშობს 1905 წლის რევოლუციის დროს. რეაქციის გამეფების შემდეგ ტარიელს ზურგი არ შეუქცევია მისთვის საყვარელ პარტიულ მუშაობისათვის. ტარიელს პარტიულ მუშაობასთან და სოციალისტურ მოძღვრების შესწავლასთან ერთად უყვარდა სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში მუშაობა და არ ყოფილა ჩვენს კუთხეში არც ერთი კულტურული დაწესებულება, რომ ტარიელს შიგ საპატიო ადგილი არ ჰქონოდეს დაჭერილი. 27 თებერვლის რევოლუციაში ტარიელი ხომ მთელი თავისი არსებით ჩაება და კიდეც მიიტანა თავისი სიცოცხლე რევოლუციის და თავისუფლების სამსხვერპლოზე. ტარიელს ვერ მოუნელებია ბოლშევიკური ამბოხებების მოწყობა ჩვენს სხვადასხვა კუთხეებში და რა თქმა უნდა სხვებთან ერთად თოფით ხელში გაეშურა, როცა გაიგო ჩოხატაური „კომუნისტებმა“ აიღეს.

სატირალი იყო ტარიელის სიკვდილი ტარიელმა უპატრონოდ დატოვა მისი საყვარელი ოჯახი, მაგრამ მის უმწეოდ დარჩენილ ოჯახს ეხმარებიან ამხანაგები და ხალხი. განისვენე ტკბილად ამხ. ტარიელ და ინუგეშე თავი მით, რომ ის [illegible] მტერნი ჩვენი დემოკრატიისა, რომლებიც იარაღით დამარცხდნენ, დღეს ზნეობრივადაც დამარცხებულად გრძნობენ თავს.

ხაჭამიახერელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესიონალურ კავშირებში

თათბირი საზოგადოებრივ სასადილოების მოწყობის შესახებ.

11 ნოემბერს პროფ. კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტთან შესდგა თათბირი. გარჩეულ იქნა საკითხი დახურულ რესტორანების ადგილზე იაფ-ფასიან სასადილოების გახსნის შესახებ. თათბირს დაესწრნენ კოოპერატივების, ქალაქის და პროფესიონალურ კავშირთა ცენტრის წარმომადგენელნი. ხანგრძლივ კამათის შემდეგ მიღებულ იქნა, რომ სასადილოები გახსნას კოოპერატივებმა და ქალაქის გამგეობამ განსაკუთრებით ქალაქის განაპირა ადგილებში. სასადილო ხელმისაწვდომი უნდა იქნას ყველა მცხოვრებლებისათვის. საერთო საკითხების მოწყობისა, რომელშიაც შედიან ხსენებულ ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

ტყავეულობაზე მომუშავეთა შორის. „დაბლგები"-ს მუშებმა რიცხვით 100 კაცზე მეტმა, მწარმოებელთა წინაშე აღძრეს საკითხი შეშის საყიდლად 10,000 მანეთის ავანსად მიცემის შესახებ. 5 ნოემბერს შესდგა პარიტეტული კომისიის სხდომა, რომელსაც დაესწრო მეტყავეთა კავშირის მდივანიც. ხანგრძლივ კამათის შემდეგ მწარმოებლები დასთანხმდნენ მისცენ თითოეულ მუშას 5000 მანეთი იმ პირობით, რომ მიცემული თანხა დაკავებულ იქნება მუშათა დღიურ ხელფასიდან 10 პროცენტი.

მწარმოებლების მიერ მიცემული თანხა გადაეცემა საქარხნო კომიტეტს, რომელსაც მუშებმა დაავალეს შეშის შეძენა. პარიტეტული კომისიის ამავე სხდომაზე, მწარმოებლები დასთანხმდნენ მისცენ მუშებს ახალი ავანსი 5,000 მანეთი მას შემდეგ, როცა ახლა მიცემული ავანსს გადაიხდიან.

10 ნოემბერს შესდგა ზაგრიაროვის, ბესენცევისა და მინიევის ქარხნის მუშათა საზოგადო კრება. მუშებმა დაადგინეს წინადადება მისცენ თავის მწარმოებლებს, რომ მუშებს მიეცეთ ტანისამოსი (ბესენცევის ქარხნის მუშებმა უკვე მიიღეს ტანისამოსი), ტყავი ფეხსაცმელებისათვის და შეშის საყიდლად 1,000 მანეთი ავანსად. ამას გარდა, დადგენილ იქნა წინადადება მიეცეს მწარმოებლებს, რომ მოეწყოს სახელოსნოში მუშებისათვის აღდგენილი წყლის მიცემა.

სასურსათო საქმეზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირში.

სასურსათო საქმეზე მომუშავეთა პროფ. კავშირმა დაადგინა სასურსათო ფონდში შეიტანოს სათანადო თანხა 30 სულისათვის იმ მიზნით, რომ მოეწყოს ღარიბებისათვის პურის მიწოდება კავშირის უმუშევარ წევრთათვის. გარდა ამისა დადგენილ იქნა მთელი ზამთრის განმავლობაში უმუშევართ მიეცეთ თვეში 1 გირვანქა საპონი, 1 გირ. შაქარი და ½ ჩაი.

ტარიფის შემმუშავებელი კომისია.

საქარხნო კომიტეტების კონფერენციის დადგენილებით ღვინის-კონიაკისა და წყლების ქარხნების მუშათა სექციასთან მოეწყო კომისია, რომელიც შეიმუშავებს ხსენებულ სექციის მუშათა ყველა კატეგორიებისათვის ტარიფებს. კომისია უკვე შეუდგა ხელფასის მომატების გამორკვევის საკითხს.

მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. სასურსათო საქმეზე მომუშავეთა კავშირის საქარხნო კომიტეტმა გაითვალისწინა რა ქვეყნის არეული ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა, იწონებს აღმასრულებელი კომიტეტის შეერთებული სხდომის გადაწყვეტილებას მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ და ავალებს კავშირის პრეზიდიუმს მიიღოს ზომები, რომ თათბირის მიერ ნაჩვენები ზომები ახლო მომავალში გატარდეს ცხოვრებაში.

რკინის გზის ფურნეში.

რკინის გზის სასურსათო კომიტეტმა აცნობა სურსათზე მომუშავეთა პროფ. კავშირს, რომ ის იღებს თავის თავზე რკინის გზის ფურნეში პურის გამოცხობას სამეურნეო წესით და ამიტომ ეხლა არსებული მუშათა არტელი უნდა გაუქმდეს. ამასთანავე ერთად სასურსათო კომიტეტმა წინადადება მისცა, რომ ფურნის მუშები „სურსათის"-ს კავშირიდან გადაირიცხონ რკინის გზების კავშირში. „სურსათის" კავშირის გამგეობამ, გაუწია რა ანგარიში მუშათა სურვილს, რომ ისინი დარჩენილიყვნენ უკანასკნელში, გამოიტანა შემდეგი დადგენილება: 1) რკინის გზის ფურნის მუშები დარჩებიან კავშირ „სურსათ"-ში. 2) არჩეულ უნდა იქნას მუდმივი მომრიგებელი კომისია, რომელიც მოაწესრიგებს ყოველგვარ გაუგებრობასა და კონფლიქტებს მუშათა და ადმინისტრაციის შორის. 3) არჩეულ უნდა იქნას მუშათა საქარხნო კომიტეტი. 4) არსებულ შემადგენლობიდან სამსახურზე დატოვებულ უნდა იქნან თავიანთ საქმეში ყველაზე კარგად მომზადებულნი.

ფურნის მუშათა საკითხი, საბოლოოდ გადასაჭრელად, გადაეცა მომრიგებელ კომისიას, რომელშიაც შედიან კავშირისა და სასურსათო კომიტეტის წარმომადგენელნი.

საავადმყოფო დაწესებულებების მოსამსახურეთა კავშირში.

10 ნოემბერს შესდგა დელეგატთა კრება, რომელსაც დაესწრო ქ. თფილისის ყველა საავადმყოფო დაწესებულებათა მოსამსახურეთა წარმომადგენელნი. განსარჩევი იყო შემდეგი საკითხები: გამგეობის წევრთა დამატებითი არჩევნები, მოსამსახურეთა ეკონომიური მდგომარეობა და საავადმყოფო დაწესებულებათა მოსამსახურეების თავის ნებით დათხოვნის საკითხი.

მეორე საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა წინადადება მიეცეს შინ. საქ. სამინისტროს პურის რაციონის 2 გირვანქამდე გადიდების შესახებ და პირველ საჭიროებათა საგნების იაფ ფასებში მიცემა, როგორიც არის შაქარი, ჩაი, კარტოფილი, ნავთი და სხვა.

მესამე საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა: ვინაიდან მთელი რიგი ამხანაგებისა ადასტურებენ, რომ მოსამსახურეთა დათხოვნის დროს ადმინისტრაცია სრულებითაც ანგარიშს არ უწევს კავშირს და ადგილობრივ კომიტეტებს, კრება წინადადებას აძლევს უკანასკნელთ თითოეულ ასეთ შემთხვევაში ოქმები შეაყენონ და აცნობონ კავშირის გამგეობას.

ს.-დ. პარტიაში

ხობი (ზუგდიდის მაზრა). კვირას, 31 ოქტომბერს შესდგა ს. ს.-დ. მ. პ. ხობის ორგანიზაციის წევრთა კრება. კრებას დაესწრო 33 ამხანაგი. პარტიულ კრებას დაესწრნენ სამაზრო კომიტეტის წევრები ამხ. კ. ვეკუა, კ. ნარკიძე და კ. ჩიქვანი.

კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ამხ. კ. ვეკუა, მდივნად ამხ. ი. როყვა. საკითხები: 1) მომენტი, 2) პარტიული მუშაობა, 3) კოლექტივის რეორგანიზაცია, 4) მორიგი კითხვები. მომენტის და პარტიულ მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. კ. ჩიქვანმა, რომლის შემდეგ გამოტანილ იქნა დადგენილება: 1) ხობის თემის სოციალ-დემ. ორგანიზაციის წევრთა კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. ჩიქვანისა მომენტზე, სრულიად იწონებს მთავრობის პოლიტიკას და გადადის მორიგ საკითხზე. 2) კრებას საჭიროდ მიაჩნია გაძლიერებული ენერგიით შეუდგეს პარტიულ მუშაობას, მოხდეს წევრთა რეგისტრაცია და სხვა. კოლექტივში აირჩიეს 5 ამხანაგი: ილარიონ ქანთარია, ბიქტორ კუკავა, ნესტორ ფარულავა, დადი თათარაშვილი და პორფილე ვადაჭკორია. კანდიდატებად [illegible] წურწუმია და ვ. გურგია.

კრებამ სთხოვა კომიტეტს წარმომადგენლებს გაუწიოს კომიტეტმა შესაფერი იდეური ხელმძღვანელობა და დახმარება.

კან-ჩიხ.

სამტრედია. 28 ოქტომბერს ს. ს.-დ. მ. პ. სამტრედიის რაიონის რკ. გზის კოლექტივის სხდომას თავმჯდომარეობს ს. წულაია, დღიურ წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენებები იაჩეიკებიდან 2) ქ. სამტრედიის კომიტეტის წევრების არჩევნების დაგვიანება ქალაქის საკოლექტივოს მიერ. 3) სამკითხველო გადამტვირთავ მუშების იაჩეიკიდან მომხსენებელი აღნიშნავს, რომ რკ. გზის სამმართველოდ ნ. ბ. გაბილაია დადის სადგურებზე და მოუწოდებს მუშებს დააარსონ არტელი და თუ ორი სამი თვის წინედ ჩვენ რჩევით მოგვმართავდნენ, დღეს იმათ უნდათ ძალით მოგვახვიონ თავზე, ეს არტელი იქნება ჩვენთვის დამღუპველი. კრებამ მოისმინა რა ეს, დასვა არტელის საკითხი მეოთხე საკითხად.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ო. წულაია. ორი თვეა—ამბობს მომხსენებელი, რაც ჩვენ უმაღლესი ორგანო ქალაქის კომიტეტი არ გვყავს და ეს ჩვენ დიდათ გვაბრკოლებს, რადგანაც არ არის შეთანხმებული ძალი უმაღლეს პარტიულ ორგანიზაციებთან და სხვ. კოლექტივი ადგენს: მიეწეროს დროებით კომიტეტის ბიუროს, რომ დაუყონებლივ მოიწვიოს ქალაქის საკოლექტივო პარტიული ყრილობა, რომელზედაც არჩეულ იქნება ქალაქის კომიტეტის წევრები. მესამე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ი. თედუა, რომელიც ხაზს უსვამს მუშა მოსამსახურეების გულ გრილობას სამკითხველოსადმი და მოუწოდებს ამხანაგებს ხშირად იარონ სამკითხველოში, აგრეთვე იქნას დაბრუნებული თფილისიდან ის წიგნები, რომელიც კაი ხანია გაგზავნილი ყოფილა შესაკინძავად, შემდეგ სამკითხველო იკეტებოდეს სამშაბათობით და არა ორშაბათობით, რადგანაც ამ ჟამად დღიური გაზეთები მოდის მეორე დღეს. „კოლექტივმა მოისმინა რა ეს, დაადგინა: „მიეწეროს კულტურულ განმანათლებელ სექციას, რომ დაუყონებლივ იქნას წიგნები დაბრუნებული და სამკითხველო იკეტებოდეს სამშაბათობით.

მეოთხე საკითხზე კოლექტივმა იქონია მსჯელობა და პარტიული თვალსაზრისით უარყო არტელის დაარსება, ამას მოჰყვება მუშების ჩაგვრა და მათზე რომელიმე „პოდრიადჩიკის" გაბატონება". აგრეთვე კოლექტივი ავალებს სექციის გამგეობის ფრაქციას, რომ მან დაიცვას ეს გადაწყვეტილება.

პოლ. ჯიბლაძე.

პროვინცია

დ. აბრილ-ური. (ქვემო რ-ჭა). ხალხის მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი ხდება; წელს მოსავალი საშუალოზე უკეთესი იყო, მაგრამ ზოგიერთები ეხლავე ეძებენ სიმინდს საყიდლად. შიმშილობა ეხლავე იწყება ზოგ ადგილებში: გარდა ამისა, ხალხს არ გააჩნია საშუალება ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის შეძენისა, და არც იშოვება: თუ სადმე იქნა, იმდენადაც საზღაპრო ფასები უნდა გაიღოს. ჩარჩ სპეკულიანტებმა ფრთები აისხეს და დაუზოგველად ხალხს ტყავს აძრობენ. ამ უკანასკნელთ სრულიად გაქრნენ პირველი მოთხოვნილების საგნები: ნავთი, მარილი და საპონი. ნავთი უკანასკნელად 30 მანეთი ფასობდა, ეხლა კი გირვანქა 100—120 მანეთზე ავიდა; სოფლებში დაატარებენ სპეკულიანტები და ხალხს ტყავს აძრობენ. კოოპერატივებს არც ნავთი და არც მარილი არ გააჩნია. ხალხში დიდ მითქმა მოთქმას იწვევს ნავთისა და მარილის უქონლობა. ამას წინათ ცნობა იყო, თითქოს ქუთაისში გამზადებული იყო რაჭა-ლეჩხუმისათვის სამი ცისტერნი ნავთი, რომელიც ერობებს უნდა დაერიგებოდა, ესენი კი კოოპერატივებს დაურიგებდნენ, მაგრამ დღემდე არც ერთ კოოპერატივს წვეთი ნავთი არ მიუღია. საჭიროა ერობამ დროზე მიაქციოს ამას ყურადღება, გარდა ამისა, რაჭა მოწყვეტილია ქუთაისს. მგზავრებს ფეხით უხდებათ გავლა 60—70 ვერსი ნაქერალის მთით ტყიბულისაკენ. სამხედრო ოსეთის გზაზე ქუთაისისაკენ ამ ჟამად სპეკულიანტების მეტს არავის შეუძლია მოგზაურობა. ისეა გაძვირებული მიმოსვლა, რომ რაჭიდან ქუთაისს ჩასვლა ამ გზით ჯდება 5000 მანეთი თითო სულზე. სწავლა-განათლების სურვილმა ხალხში დიდათ იმატა. თითქმის ყველას სურს, რომ თავის შვილს განათლება მიაღებინოს. სკოლებში სამეურნეო მხარეები ძლიერ ცუდადაა; ზოგ-გან შენობები მოუწყობელია, არ აქვს შეშა და სხვა უპირველესი საგნები. მთელი აგვისტო, სექტემბერი და ოქტომბერი განუწყვეტლივ წვიმა და ცუდი ამინდებია რაჭაში, რომლის მაგვარიც ჯერ არავის ახსოვს. აქ აარსებენ გიმნაზიას.

კვირას, 17 ოქტომბერს შესდგა ადგილობრივი მომხმარებელი საზოგადოების „პროგრესის" წევრთა საზოგადო კრება. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მასწ. ვ. არაბიძე, მდივნად ვ. გ—ლიძე. კრების უმთავრეს მიზანს შეადგენდა გაცნობა წასული 15 თვე სარევიზიოს შედეგს და განხილვა საკითხისა პაის გადიდების შესახებ. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სარევიზიო კომისიის წევრმა მასწ. ვ. არაბიძემ, რომელმაც გააცნო კრებას რევიზიის შედეგი. კოოპერატივში არავითარ ბოროტ მოქმედებას ადგილი არ ჰქონია, მხოლოდ წიგნების წარმოება არ ყოფილა სათანადოთ მოწყობილი. რევიზია დაწყებულა 15 აგვისტოდან და გაგრძელებულა ხუთ დღეს, რომლის შედეგიდანაც გამოირკვა, რომ კოოპერატივს ექვს თვეში წმინდა მოგება დარჩენია 7 356 მ. სარევიზიო კომისიის აღნიშნული ოქმი ერთხმად დადასტურებულ იქნა კრების მიერ.

შემდეგ კრებამ იმსჯელა მომავალი წარმოების შესახებ. გამოირკვა, რომ კოოპერატივს არსებობა არ შეუძლია, თუ პაი არ იქნა გადიდებული. კრებამ ერთხმად გადასწყვიტა პაი 5 თუმნის ნაცვლად გადიდდეს ას თუმნამდე, რომელიც შემოტანილ უნდა იქნას ორი კვირის განმავლობაში, დღიდან გამოცხადებისა. ამავე კრებაზე მიღებულ იქნა ს. ქვემო-კრიხში გაიხსნას ამბროლაურის კოოპერატივის განყოფილება, ვინაიდან ეს სოფელი მიშორებული არის ამბროლაურზე. დასასრულ ვ. არაბიძე თანახმად მისი თხოვნისა გაანთავისუფლა სარევიზიო კომისიის წევრობიდან, რის შემდეგ არჩეულ იქნა 3 კაცისაგან შემდგარი ახალი სარევიზიო კომისია.

ხიხონა.

დ. ანაკლია. ომის და რევოლიუციის დაწყებამდე დ. ანაკლია ითვლებოდა ბაზად სიმინდის, თხილის და დაფნის ფოთლის ექსპორტისა. მარცხენა მხარე მდ. ინგურის გაშენებული იყო სავაჭროებით და საწყობებით, სადაც გროვდებოდა და მზადდებოდა გასატანათ აფერებული სიმინდი, თხილი და სხვა. ანაკლიაში იმ დროს სიცოცხლე სჩქეფდა, მუშა ხელი ბლომად იყო და შეძლებულად ეძლეოდა თავის კლასობრივი ინტერესების დაცვას. იყო აგრეთვე ინტელიგენტთა ძალა, რომელიც თავის ძალღონის მიხედვით მცხოვრებთ დრო გამოშვებით აძლევდა სულიერ საზრდოს: წარმოდგენების დადგმით, საუბრებით და სხვა. დაიწყო თუ არა რევოლიუცია და გაჩნდა ბოლშევიზმი ანალოგიურად სხვა სოფლებისა, გადიწვა საწყობები, სავაჭროები და საცხოვრებელი ბინები. ამ ჟამად ანაკლიას დარჩა მხოლოდ დაბის სახელი, არ არის არავითარი კულტურული დაწესებულება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორ განყოფილებიან სასწავლებელს, სადაც მეცადინეობა სწარმოებდა წარსულ აკადემიურ წელში არა სისტემატიურად, არამედ მასწავლებელთა სურვილისამებრ, დროგამოშვებით, გაზეთების მოხვედრას აქ შემთხვევითი ხასიათი აქვს, რადგანაც სამკითხველო არ არის, სხვა წიგნებზედ და ჟურნალებზე—ლაპარაკიც მეტია. იყო ინიციატივა ტეხნიკა ჩახალეიშვილის მიერ სამკითხველოს დაარსებისა, ფულიც შეიკრიბა ამ მიზნისთვის, მაგრამ ადგილობრივმა ვაჭრებმა, რომელთათვის სასარგებლო არ არის ხალხის განათლება, სხვადასხვა ინსინუაციებს მიმართეს ამ სიმპატიური საქმის ჩასაშლელად. ჩახალეიშვილმა ვერ გაუძლო ვაჭრების უსინდისო იერიშებს, გული გაუტყდა, რადგანაც თანამგრძნობი არავინ ჰყავდა და შეგროვილი ფული სამკითხველოს დასაარსებლათ უკანვე დაუბრუნა შემომწირველთ. ამ გარემოებამ ძლიერ გაახარა ანაკლიის ვაჭრები. თვით ხალხი ქონებრივად კარგად გრძნობს თავს, მაგრამ სწავლა განათლება კი ნაკლებად ეინტერესება.

ამიტომაა, რომ ანაკლიის ახლო-მახლო მდებარე სოფლები გადაქცეულნი არიან ყაჩაღთა ბინაკად, თუმცა ენერგიული ზომებით, ამ ჟამად მათი თარეში შესუსტებულია.

ანაკლიაში ათამდე მოვაჭრეა და ამ უკანასკნელთ თუ ოდესმე ჰქონიათ რაიმე გავლენა ხალხზედ, დღეს ერთი-ორად არის გაორკეცებული მათი გავლენა, რადგან არავინ ჰყავთ ცხვირწინ ლაგამის ამომდები. ანაკლიაში მცხოვრებ ინტელიგენციას მოყრილი აქვს თავი საქართველოს დედა ქალაქებში, აოხრების და განადგურების შემდეგ უკანასკნელს ანაკლია თითქოს განგებ დაუტოვებია ვაჭარ-სპეკულიანტთა სამძარცველად და უკანასკნელი ტყავის გასაძრობათ. აქ არსებობს კოოპერატიული მაღაზია, მაგრამ მთლად ცარიელია, კაცი ნახავს შიგ მხოლოდ რამოდენიმე თოფ ჩითს, ისიც იმ ფასებშია, რა ფასშიც შეიძლება ყიდვა კერძო ვაჭართან.

ანაკლია ჭაობიანი ადგილია, ამოსაშრობათ კი არავითარი ზომები არ არის მიღებული, აშკარაა, რომ გაზაფხულიდან დაწყებული ზამთრამდე აქ მცხოვრებს ციებ-ცხელება, სხვადასხვა ეპიდემიური ავადმყოფობა, განსაკუთრებით კი ტიფი. ამას და მიუხედავათ დღემდის არ არის გახსნილი საავადმყოფო. არსებობს აგრეთვე ადგილობრივი თემი რომლის შემადგენლობა თითქმის, მთლად ადგილობრივ ვაჭარ-მეწვრილმანეთა ზეგავლენის ქვეშ იმყოფება. თემის მუშაობა გამოიხატება მცხოვრებთაგან გადასახადების აკრებაში და ჯამაგირების დროზედ განაწილებაში, მხოლოდ საავადმყოფო, სასწავლებელი, სამკითხველო, დაბის გაუმჯობესობა გიგიენურად და სხვა სრულიად არ შედის მის ზრუნვაში ვიმეორებთ, დ. ანაკლია ბუნებრივად მდიდარია და მდებარეობაც ნებას აძლევს მას გამოიყენოს სიმდიდრე, საჭიროა მხოლოდ მუშაობა. ჩვენ მოუწოდებთ ზუგდიდის სამაზრო ერობას მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება დ. ანაკლიას. საჭიროა თავისმოყვარეობა ანაკლიის დამსახურებულ ინტელიგენციას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, დიდ ქალაქებში შეძლება მომეტებულ წილს მათგანს არავითარი სარგებლობა არ მოაქონდეს, აქ კი ანაკლიაში მათი ცოტაოდენი ზრუნვაც კი დაბის საერთო საქმეებზედ თვალსაჩინო იქნება.

ჯ. კ—ძე ინწკირველი.

26 სექტემბერს ბათომის სახალხო გვარდიის სასარგებლოთ გამართულ დღის ანგარიში.

26 სექტემბერს „გვარდიის დღის" ბათომის სახალხო გვარდიის სასარგებლოთ შემოვიდა: „შემოწირულებათა სიებით 1,716,055 მანეთი 2) საზოგადო საკრებულოს დარბაზში გამართულ საღამოდან 105,368 მან. 4) ცირკები და კინემატოგრაფებიდან 142740 მან. 5) რესტორან-სარძევე სახაიებიდან—858,894 მან. 5) დამატებითი შემოსული ფულები—114,530 მან. მთელი შემოსავალი უდრის—3,780 827 მან. დახარჯულია—494,991 მანეთი. დარჩა წმინდა შემოსავალი 3,315,830 მანეთი.

მთავარი კომისია უმორჩილესათ სთხოვს იმ პირთ, ვისაც ჯერ კიდევ ანგარიშები არ წარმოუდგენიათ და ფულები არ შემოუტანიათ, ამა ოქტომბრის 25 მდე უეჭველად გაასწორონ ანგარიშები, რომ მთავარ კომისიას საშუალება მიეცეს უკანასკნელი ანგარიშების გამოქვეყნების. მთავარი კომისიის თავმჯდომარე ვ. მჭედია, მოლარე დ. კუნჭულია.

წერილი რედ. მიმართ

ღია წერილი.

დამფუძნებელი კრების წევრს ბ. შ. ნუცუბიძეს. ბატონო შალვა! თქვენ დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან შეურაცხყავით ჩემი სახელი. თქვენ ბრძანეთ, რომ მე ფილიორის თანამშრომელი ვარ შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებისა, რადგანაც ქრთამს ვღებულობ. ასეთი ბრალდება მე არ დამიმსახურებია და თქვენ ცილი დამწამეთ. სიმართლიანობა მოითხოვს ამ შემთხვევაში არ ისარგებლოთ, დამფუძნებელი კრების წევრობის უფლებით და გამოვიდეთ ან ოფიციალურ და ან სამედიატორო სამართალში. გთხოვთ პასუხი მაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა.

ვასილ ტუშმალაშვილი.

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ლესა-ჭინათის სახალხო სახლის სასარგებლოთ 10, 11 და 12 აგვისტოს რკინის გზაზე (ნატანებ-ფოთი-შუა). ჩემ მიერ მოწყობილ ყულაბებით ფულის მოკრებიდან შემოვიდა 78630 მან. 05 კაპ. რაც სრულად 13 აგვისტოს გადაეცა ხსენებულ სახალხო სახლის გამგეობას.

ღრმა მადლობას უცხადებ ყველა მათ, ვინც დახმარება გაუწია ამ ფულების შეგროვებაში და აგრეთვე იმ პირთ, რომლებმაც თავიანთი წვლილი გაიღეს ამ საქმისათვის.

მარიამ შარაშიძე.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დილ. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 12—დეკ.

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 12 დეკ.

ექიმი
ი. ა. ტერ-აკოპოვი
გადავიდა კირკის ქუჩაზე № 49, მიხეილის პრ. № 28 ვორონცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული (მწვავე და ხრონიკული ტრიპერი) და კანის ავადმყ. „606" და 914" შეშხაპუნება. მიღება დილის 11—12 საათ. საღამოს 6—8. ქალებს საღამოს 5—8 საათ. (13 დეკ.)

ქართულ და რუსულ საშუალო
სასწავლებელში
1, 2, 3, 4, 5, 6, 7 კლასში შესასვლელად ვამზადებ ყველა საგნებში. ვასწორებ მათემატიკაში და ენებში ჩამორჩენილ მოწაფეებს. პლეხანოვის ქ. № 25, (შესავალი ალექსის ქ. 5) 9—12 საათ. 4—5 მახარაძის ბინა (3627 5—3)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
გოკიელისა
(პლეხანოვის პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) დასაწოლ ავადმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

ექიმი გ. ა. შაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე. დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 [illegible] კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი [illegible] ქ. № 33. 21 დეკ.

ექიმი
გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, სპეციალურად მუცლის—კუჭის, ნაწლავების და სხ. ავადმყოფობის მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 4—21. ბებუთოვის ქ. № 38 (26 ნოემბ.)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (21 ნოემ.)

[illegible]
ნიკოლოზ მახვილაძე
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.
ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 (3—დეკ.)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
ავადმყოფების მიღება ყოველდღე 1 ს.—4 ს. იზმაილოვის ქუჩა № 11 მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1—დეკ.)

ექიმი
სოლომონ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (18—ნოემ.)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის 10 ½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

ექიმი
გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—1 ს. საღ. 3—6 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (16—ნოემ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ცისტოსკოპია (საშარდე მილის). ახალი ბებუთოვის ქ. № 5 სასახლეს უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით (პარალელურად). მიღება დილით 10—12 საათ. და საღ. 5—7 საათამდე. 13 დეკ.

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი
სახელმწიფო უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი. ვაქცინოთერაპია, სეროტერაპია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინის შეშხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა, აგურის შესახვევი № 10. (22—ნოემ.)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ფილტვი და გულისა. იღებს ახალ რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 11 დეკ.

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი
ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქაშვეთის ეკლესიის ახლოს. (4—დეკ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყოფთ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიას ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ზ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22. [illegible]

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—დეკ.)

ექიმი
დავით ლუკას ძე
პიღურაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავადმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (შამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1—დეკ.)

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს: საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7 ½ საათ. მიხეილის საავადმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1 (16-ნოემ.).

მუშათა ცენტრალური აუდიტორიის გამგეობა იჯარით სცემს აუდიტორიასთან არსებულ
სასადილოს ბუფეტით
წერილობითი განცხადებანი და პირობების გაგება შეიძლება აუდიტორიის გამგესთან 14 ნოემბრამდე. დილის 11—3 საათამდე საღამოს 6—9 საათამდე. (3658—1—1)

დამეკარგა მატარებელზე წიგნაკი
რომელშიაც იყო სხვადასხვა საჭირო ქაღალდები, პირადობის საბუთები და სამხედრო თავისუფლების მოწმობა ისიდორე ნიკოლოზის ძე ნარსიას სახელზე. უმორჩილესად ვსთხოვ მპოვნელს ზემოხსენებული დოკუმენტები დამიბრუნოს რისთვისაც მიიღებს ჯილდოს, მისამართი შერემეტოვის ქუჩა 36 ი. ნ. ნარსია. (3646—1—1)

დაკარგული
დავკარგე მატარებელში მოგზაურობის დროს ამ ნოემბერს საფულე, რომელშიაც იყო პასპორტი მოცემული მარტყოფის კომისარისაგან. და თეთრი ბილეთი თფილისის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან მოცემული რომელიც ჩაითვალოს გაუქმებლად. შალვა ივანეს ძე კალანდაძე. (3663—1—1)

[illegible] სტამბა, კრილოვის ქუჩა № 4.